№ 103 **სახალხო გაზეთი** № 103

ოთხშაბათი, 8 სექტემბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა. წელიწ. პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
**სახალხო გაზეთი**
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
**სურათებიანი დამატება**
**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.
**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**
**დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.
* * * * **ხელის-მომწერთა საყურადღებოდ** * * * *
კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.
„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.
წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

დ. ხონში, 4 სექტემბერს, უდროოდ გარდაიცვალა
**ელენე** კონსტანტინე ჩხეიძის ასული **გეგელაშვილისა,**
რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარი დედა მისი **ეფროსინე სიმონის ასული (პასიკო) ჩხეიძისა**, და **ელისაბედ კონსტანტინეს ასული ჩხეიძე**. დაკრძალვა ოთხშაბათს, 8 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, დ. ხონში. (2—44—2)

კვირას, 5 ენკენისთვეს, საღამოს 5 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა
**კაპიტანი როსტომ ილიას ძე რცხილაძე,**
რასაც მიცვალებულის დედა—ბაბე, ცოლი—ნინა, რძალი ელენე და ძმა ვასო დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ.
ცხედარი ორშაბათ საღამოს წაასვენეს კახეთში, სოფ. შაშიანში, სადაც პარასკევს, 10 ენკენისთვეს, იქნება პანაშვიდი, ხოლო დაკრძალვა—შაბათს. (1—43—1)

საქართველოს სინოდალურ კანტორის **მოსამსახურენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას თანამოსამსახურის
**ზაქარია ზაალის ძის ზაალიშვილისას.**
პანაშვიდი 8 ენკენისთვეს 1 ს. დღისით; გამოსვენება ხუთშაბათს 9 ენკენისთვეს, დილის 9 საათზე, საკუთ. სახლი, ახალციხის ქ. № 17. ჩუღურეთის წ. ნიკოლოზის ეკლესიაში. (1—48—1)

**ივანე იოსების ძე** და **სოფიო ვახტანგის ასული** თუხარელები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ მობრძანდნენ სოფ. საკორინთლოში, 16 ენკენისთვეს, სადაც გადახდილ იქმნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი პირველის ძისა და ძმისწულებისა, მეორესი—საყვარელი ქმრისა და შვილებისა
**ალექსანდრე, იოსებ** (იაშკა) და **ბაიანე თუხარელების**
სულის მოსახსენებლად. (1—უ.—1)

**ბალი-სპორტი**
**ყოფილი საზაფხულო საკრებულო**
8 სექტემბერს 1910 წ. სახალხო სახლთან არსებულ სამუსიკო საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება დიდებული
**სეირნობა**
პროგრამა: პორუჩიკ გ. ა. პლოტნიკოვის ხელმძღვანელობით აუშვებენ ცეპელინის სისტემის ბურთებს. მიეცემათ სილამაზის პრიზები (ოქროს ჟეტონები) ქალებსა და კაცებს. არჩევნები მოხდება ფარულ კენჭის ყრით, რისთვისაც ბალის სტუმრებს კარებშივე დაურიგდებათ საპრიზო კონტრამარკები პრიზი მიეცემათ „კონკებზე", ჩქარა მოსიარულე (ვაჟებს) და მოხდენილ სიარულისთვის (ქალებს) ვერცხლის ჟეტონი. ● **მხიარული დივერტისმენტი.** ● ა. და ა. სკურატოვებისა და სხვების მონაწილეობით. ● **ორი გუნდი სამხედრო მუსიკისა.** ● **ბუმბერაზი გრამმაფონი.** ● ყვავილები, კომფეტები, სერვატინი და ფოსტა.—ეროვნული და ევროპიული ცეკვა.—მკითხავი—ციგნის ქალი „ატიშფო", კოშკი, მიზანში სროლა პრიზებზე. ● **ბუფეტი.** ● ბალი მშვენივრად იქნება მორთულ-განათებული. ✦ დასაწყისი ნაშუადღ. 2 საათზე. ✦
კაბარე 11 საათზე. ბურთს აუშვებენ ნაშუადღევის 5 საათზე. ფასი: დიდებისთვის 30 კ., მოსწავლეთათვის—20 კ., ბავშვებისთვის—10 კ. თუ ცუდი დარი იქნება, სეირნობა გადაიდება 12 სექტემბრისათვის. (1—1)

ელექტრონისა და რენტგენის
**სამკურნალო**
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20 (0—6.—42)

**ექიმი** შ. ა. **მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** ა. ნ. **დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

**ექიმი** გ. ნ. **მაგაკიანი** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადოდ). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ნაღ.—27)

**პროვინციაში გაზეთების გამგზავნი**
**ბიურო**
პირველ სექტემბრიდან შესდგა გაზეთების საგზავნებო ბიურო, რომელშიაც შედიან გაზეთები: „სახალხო გაზეთი", „საქმე", „ზაკავკაზია", „ნოვაია რეჩი" და ჟურნალები „მათრახი და სალამური", „ერი" და „თეატრი და ცხოვრება". ბიუროს მიზანია პროვინციაში ჟურნალ-გაზეთების გავრცელება. აგენტებს **მხოლოდ** ამ ბიუროსაგან შეუძლიანთ დაკვეთა ჟურნალ-გაზეთებისა. ბიუროს გამგეთ არჩეულია ერასტი დავითის ძე გორდელაძე, რომლის სახელზედაც უნდა იგზავნებოდეს, როგორც წერილები, აგრეთვე ფული შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, общій входъ съ нотаріусомъ Мгебровымъ. Эрастію Давидовичу Горделадзе.

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.
**გ. გაჩეჩილაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ა. შოშიტაიშვილი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
**ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვიროს. 11½—12½ საათ.
**ი. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ. 434)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.
**ლამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექტ. ორშ., და პარ. 10½—11 ს.
**ბურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქაჯაიაძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. [illegible]—2 ნახ. ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირალოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.
**ხოდოლეევსკი გ. გ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა მიიღებათ საფასურით. (200—ნ.—273)

**სამკურნალო**
● **ექიმთა საზოგადოებისა** ●
მუდმივ საწოლებით.
მიხეილის პროსპ., 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფ. N 1026.
**ავადმყოფთა მიღება:**
**აგაჯანოვი მიხეილ**—სიფილისი, კანისა და საშარდის ავადმყოფ. 1—2 საათ.
**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგანი, ნერვებისა და სულიერი ავადმყოფობანი. ელექტროტერაპია. 11—12 საათ.
**კომონტი მ. პ.**—ქირურგიული ავადმყ. 11—12 საათ.
**მაგაკიან გ. ნ**—შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი 11 ნახ.—12 ნახ. საათ.
**ა. დ. კალმიკოვა-ვნუკოვა**—საქალებო ავადმყ. 11—12 საათ.
**მზარეულოვი მ. ე.** 12 ნახ.—1 ნახ. საათ. სიფილისი, კანის და საშარდის ავადმყოფობანი.
სამკურნალოში უწამლებენ ელექტრონით, უკეთებენ მასსაჟს, მოახდენენ ბაქტერეოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევებს; უცრიან ყვავილს; შეამოწმებენ ძიძებს ფასი დარიგებისთვის **50 კაპ.** ოპერაციის და კონსულტაციის ფასი მორიგებით. საავადმყოფო განყოფილება შესდგება საერთო პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—32—4)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** **ი. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—211)

**ექიმი** **ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** **მ. ს. არჯევანიძე**
**ქუთაისში.**
იღებს შინაგან და დედათა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგიბერიძისა. (25—9—7)

**სამკურნალო**
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე
**ხარაძე**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
**ბოგოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**მონსე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
**ნოვიცკი**—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.
**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ.
**ხატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.
**მიკირტუმოვი** დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.
**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.
**ი. მ. ახპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. (100—ნ.—94)

კლასები
**ფორტეპიანოსი**
იოსებ გიორგის ძე
**ტერ-დავიდოვისა**
ტფილისი, ელისაბედის ქ. № 40.
(20—6.—10)

**ბრიუსელის** უნივერსიტეტის სტუდენტი-ფილოლოგი ხელ მისაწდომ ფასებში აძლევს ფრანგულისა ლათინურისა და **სიტყვიერების გაკვეთილებს**
ადრესი რედაქციაში. (10—უ.—5)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალო
**სკოლაში**
ჭრა-კერვის და ხელ-საქმის **ცხრა თვის** კურსებზე მიიღებენ მოზრდილ ქალებს. იქვე ასწავლიან ბაშმაკების კერვას ახალის მეთოდით. პირობების გაგება შეიძლება ქალთა ამხანაგობის სკოლაში. ვერა, გაბაანთ ქ., № 3. ზარი მესამე სართულს. სწავლა დაიწყება სამკერვალოს ყველა განყოფილებაში 15 სექტემბერს 1910 წ. (3—უ—3)

**ქართული** სექცია ტფილისის სახალხო უნივერსიტეტისა ამით აცხადებს **მუშათა საყურადღებოდ**, რომ ქართ. სექც. სკოლებში 15 სექტემბრიდან დაიწყება სწავლა. სწავლის ფასია სამ თვეში 1 მან. ამ სკოლაში ხუთმეტ წლისაზე პატარა არ მიიღება. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ 7 სექტემბრიდან ყოველ დღე გარდა უქმე დღეებისა, საღამოს **ექვსიდან შვიდ საათამდე**. იმავ სკოლებში: გოგოლის ქუჩა № 45 ვოგზლის მახლობლად ვერაზე, ოლგისქუჩა № 52, ოლგის საბებიო ინსტიტუტის კვერდით. ავლაბარი, ქალანთარის საქალაქო სკოლაში. (15—უ.—3)

## ტფილისი, 8 სექტემბერი.

**მიწის გარშემო.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მკითხველი უეჭველად მიაქცევდა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ სომხური პრესსა მედგრად და ენერგიულად ურჩევს სომხის გლეხებს მიწების შეძენას მემამულეებისა და საგლეხო ბანკისაგან.

მეტად საყურადღებოა ამ რჩევის მოტივი: თუ თავისუფალ ადგილებში გადმოსახლებულთა სოფლები გაჩნდა, მომავალში მიწის მფლობელობას ადგილობრივი მცხოვრებლები ველარ გაიფართოვებენო. საყურადღებოა ეს მოტივი იმ მხრივ, რომ მიწების შეძენა სომხის ხალხისთვის სადღესოდ მოწეული საჭიროება კი არ არის, სომხურ პრესსის აზრით, არამედ მხოლოდ საშუალებაა მომავალ დროთა საჭიროების კმაყოფილად. სხვანაირად რომ ვთქვათ, მიწის შეძენა სომხის ხალხისთვის ამ ჟამად წარმოადგენს არა ეკონომიურს, არამედ ნაციონალურ და პოლიტიკურ საჭიროებას. ჩვენის ფიქრით, სომხური პრესსის დიაგნოზი შემცდარი არ უნდა იყოს, რადგან სხვებთან შედარებით სომხის გლეხებს ამიერ-კავკასიაში მიწა საკმაოდ ბევრი აქვთ.

სრულებით სხვაგვარი მნიშვნელობა აქვს მიწის საკითხს ქართველ გლეხებისთვის. იმათთვის მიწის გაფართოვება კარზე მომდგარი აუცილებელი ეკონომიური საჭიროებაა. ამ საჭიროების ნიადაგზე აღმოცენდა და განვითარდა 1905—1906 წლებში აგრარული მოძრაობა; ამ მოძრაობის ერთ-ერთი შედეგია მემამულეებისაგან მიწის გამოტანა ბაზარზე გასასყიდად და, რა თქმა უნდა, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ქართველ მემამულეთა ადგილ-მამული, რომელსაც აქამდინაც ქართველი გლეხი ჰრწყავდა თავის ოფლით, ქართველ გლეხის ხელშივე გადავიდეს. ეს უეჭველად ასეც მოხდებოდა მიწის მობილიზაცია რომ თავის ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარეობდეს და მმართველობა არ ერეოდეს ამ საქმეში თავის ნაციონალისტურ პოლიტიკით. საგლეხო ბანკი და გადმოსახლების სამმართველო ამ ნაციონალისტურ პოლიტიკის გამოხატულებას წარმოადგენენ. ბანკი და სამმართველომ ხელოვნურად მოუგდეს ამიერ-კავკასიას გადმოსახლების ტალღა რუსეთიდან და მიწის მობილიზაციას ნათლად აღბეჭდილი პოლიტიკურ-ნაციონალური ელფერი მისცეს. ყველამ იცის, რომ საგლეხო ბანკს და გადმოსახლების სამმართველოს ინტერესებს არა რუსეთიდან დაძრულ გლეხების უზრუნველყოფა და ეკონომიური მოწყობა კავკასიაში თავის თავად, არამედ იმათი აქ დამკვიდრება, როგორც საშუალება კავკასიაზე რუსულ გავლენის გაძლიერებისა ცხადია, რომ საადგილ-მამულო საკითხში ნაციონალური და პოლიტიკური ტენდენცია მთავრობამ შეიტანა და არა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. ეს უკანასკნელნი ბრმანი არ არიან და ნათლად ჰხედავენ ეხლა მიწის საკითხის პოლიტიკურ ხასიათს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკურ მომენტს წითლად გაუსვა ხაზი თვით მთავრობამ.

რუსეთში ამ ჟამად პოლიტიკურ მიზნებით ხელმძღვანელობა შეუწყნარებელ საქმედ ითვლება მცხოვრებლებისთვის. პოლიტიკური აზრი მთავრობის მონოპოლიად არის გადაქცეული. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მიწის მობილიზაციის საქმეში პრაქტიკულად ვერავის ვერ მოუხერხებია პოლიტიკური მომენტი შეიტანოს. მართალია მოგახსენოთ, ამ საქმეში პოლიტიკის შეტანა კერძოდ ქართველ ხალხისთვის არც თუ მაგრე რიგად საჭიროა, თუ კი ეკონომიურად მიწის მობილიზაციის საქმე ისე იქნება დაყენებული, რომ მიწის სიმცირით უზომოდ შევიწროვებულ ქართველ გლეხებს რაიმე ნაირად გაეხსნათ გზა თავის მიუცილებელ ეკონომიურ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ჩვენ გვესმის, რომ პოლიტიკა ე. ი. ნაძალადევად გამოწვეული მოქმედებაა საჭირო, რომ რუსეთიდან მიწის შესაძენად კავკასიაში რუსის გლეხები ჩამოვიდნენ; იგივე პოლიტიკაა საჭირო რომ შედარებით უზრუნველყოფილმა სომხის გლეხობამ იყიდოს მიწების შესყიდვა მომავალ თაობათა საჭიროებისთვის, მაგრამ ქართველ გლეხს პირდაპირი ეკონომიური საჭიროება უკარნახებს მიწის შეძენას. საქართველოს გლეხთა გულშემატკივართ არავითარი საბუთი არა აქვთ, მიწის საკითხი პოლიტიკურ ნიადაგზე გადაიტანონ და პოლიტიკური მოსაზრებებით დაასაბუთონ გლეხების მიერ მიწის შეძენის საჭიროება. ეკონომიურ საფუძველზე მოქმედების გაშლა უფრო ადვილიც არის და ჩვეულებრივ უფრო ნაყოფიერიც. ცერ ჯერობით საქართველოში მხოლოდ თავად-აზნაურობასა აქვს მოწყობილი ეკონომიურ ინტერესების ნიადაგზე საადგილ-მამულო ორგანიზაცია.

დეპუტატთა საკრებულოსთან არსებულ საადგილ-მამულო კომისიას მოგახსენებთ. ეს კომისია აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა თავადაზნაურთათვის რამდენისამე წლის წინად, როცა მიწის ფასმა ძლიერ დაიწია; კომისიის ნამდვილი დანიშნულება ფასების აწევა შეადგენდა; კომისია ილწვოდა და შუამავლობდა გლეხებსა და მემამულეებს შუა, ვიდრე მიწას დიდი ფასი არა ჰქონდა; ეხლა კი, როცა ფასებმა აიწიეს, სათავადაზნაურო საადგილმამულო კომისია მხოლოდ ინერციის ძალით და არსებობს; იმისი მოქმედება ნელდება და მაჯის ცემა წყდება. როგორც მიწის ფასების სიპატარავემ გამოიწვია და შეადგენინა თავად-აზნაურობას საადგილ-მამულო კომისია,

[library stamp]

ეგრეთვე ამ ფასების ეხლანდელმა დიდმა ზრდამ უნდა გამოიწვიოს საწინააღმდეგო ტენდენციით მოწყობილი ორგანიზაცია, რომელიც თავის შედგენილობითაც გლეხური უნდა იყოს. ასეთი ორგანიზაცია აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ეხლანდელ პირობებში გლეხებისთვის და რაც ადრე დაარსდება იგი, მით უკეთესი.

**ფოთის საქალაქო არჩევნების გამო.** დღეს ქალაქ ფოთში უნდა მოხდეს ხმოსნების არჩევნები, დღეს უნდა განიხილონ ქალაქის მცხოვრებლებმა ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა წინანდელი საბჭო ანუ, უკეთ რომა ვსთქვათ, ქალაქის თავი ნ. ნიკოლაძე, ვინაიდან ეხლანდელი საბჭო ფოთისა ისეთ ხმოსნებისაგან იყო შემდგარი, რომელთაც თავისი აზრი არა ჰქონდათ. **Domiuus dixit**-ბატონმა (იგულისხმე ნ. ნიკოლაძე) ბრძანა—მათთვის ისეთი რამ იყო რომ ყოვლად შეუძლებელი იყო მის წინააღმდეგ წასვლა. ნ. ნიკოლაძე შეუცდომლად ჰყავდათ წარმოდგენილი ფოთის ხმოსნებს, და ამიტომ საბჭო მის პროექტებს კი არ იხილავდა, მხოლოდ ადასტურებდა. ესე სჩადიოდნენ როგორც ეხლანდელნი, ისე წინანდელი ხმოსნებიც. ნ. ნიკოლაძის პროექტები მუდამ გადიოდა, როგორც საბჭოში, აგრეთვე თვით მთავრობასთანაც, ვინაიდან ბ-ნი ნიკოლაძე მიზანის მისაღწევად ისეთ მეთოდებს ხმარობდა, რომელნიც ბიუროკრატიასთან მეგობრობაზედ და მასთან კავშირზე იყო და არის დამყარებული. ჩვენ არ შევუდგებით აქ ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის დაფასებას ქ. ფოთში. ეს შორს წაგვიყვანდა. ჩვენ მხოლოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ შედეგად ამ მოღვაწეობისა ქალაქ ფოთს აქვს ცუდი ნავთსადგური, რომელიც ყოველწლიურად დიდ ხარჯებს თხოულობს შესანახად, ვაჟების გიმნაზია, ხილკოვის პროსპექტი, ერთცხენიანი „კონკა“ და ძლიერ პატარა შემოსავალთან მეტად დიდი ვალი, რომელსაც გვგონია ვერას დროს ვერ დააღწევს თავს და ვერ ამოითქვავს თავისუფლად სულს.

ყველა ეს, რა თქმა უნდა, შედეგია იმ ყურ-მოჭრილი მონობისა, რომელსაც მუდმივ იჩენდა ფოთის ქალაქის საბჭო ბ-ნ ნიკოლაძის წინაშე. დღეს ფოთის მცხოვრებლებმა ახალი ხმოსნები უნდა აირჩიონ, დღეს უნდა დააფასონ მათ თავისი წარმომადგენელი ხმოსნების მოღვაწეობა, მათი მუდმივი თანხმობა ბ-ნ ნიკოლაძის პროექტებზედ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ფოთის ყველა მცხოვრებლები ვერ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში, რომ ფართო დემოკრატიული წრეები ქალაქის მცხოვრებლებისა მოკლებულნი არიან საარჩევნო უფლებებს. ეხლანდელი წესები ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნებისა, რომ უვარგისია და ცხოვრების შეუსაბამო, ეს არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს. თვით 3 ივნისის საარჩევნო წესები სახელმწიფო სათათბიროში, რომლის უვარგისობაზე დღეს ყველა ლაპარაკობს, შედარებით ქალაქის თვით მართველობათა საარჩევნო წესებთან ბევრად უფრო სამართლიანი და ლიბერალურია. დღეს დღეობით ქალაქის ბედ-იღბალი ქალაქის მცხოვრებლების ძლიერ მცირე ნაწილის ხელშია ჩავარდნილი და ეს მცირე ნაწილი, შემდგარი ქალაქის მსხვილ მესაკუთრეთა და მდიდარ ვაჭარმრეწველთაგან, განაგებს ქალაქს ისე, როგორც მას სურს, უკეთ რომა ვსთქვათ, ისე, როგორც მის ინტერესებს შეეფერება. ამიტომ ყოველი საკითხი, რა თქმა უნდა სწყდება არა ისე, როგორც ქალაქის ინტერესებს შეეფერება, არამედ ისე, როგორც გამოსადეგია გაბატონებული ჯგუფისათვის.

ფოთშიც ყველა მცხოვრებლებიდან, რომელთა რიცხვიც 10,000 აღემატება, მხოლოდ 389 კაცს აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მაგრამ ამათში დიდი რიცხვია ამრჩევლებისა, რომელნიც არ ეკუთვნიან გაბატონებულ ჯგუფს და რომელთათვისაც ქალაქის საერთო ინტერესები და ფართო წრეების ბედ-იღბალი ძვირფასია. აი სწორედ იმათ მივმართავთ, აირჩიონ ხმოსნებად ქალაქის ინტერესების დამცველნი და არა ყურ-მოჭრილნი მონანი, რომელნიც ყოველ პროექტს ბ-ნ ნიკოლაძისას მხოლოდ დაადასტურებენ. მართალია, საბჭოს სავსებით გარდაქმნა ეხლანდელ პირობებში შეუძლებელია, მაგრამ უხმო და უენო ხმოსნების შემცირებასაც დიდი მნიშვნელობა ექნება.

# დეპეშები

(პეტერბ. ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

7 სექტემბერი.

## საზღვარ-გარედ

**ათინა.** გუშინ ჩამოვიდა ვენიზელოსი, მიეგებნენ ეროვნულ კრების დეპუტაცია, მრავალი კორესპონდენტი და აღტაცებული ხალხი. თავის სიტყვაში ვენიზელოსმა ის აზრი გამოთქვა, რომ ერის კეთილდღეობა თხოულობს—დამოკიდებულობა ვიქონიოთ სამეფო სახლთან. მისის აზრით, ეროვნული კრება რევიზიონისტების მიმართულებას უნდა დაადგეს და კანონმდებლობის საფუძველი თანამედროვე მოთხოვნილებისამებრ შესცვალოს.

**ურმია.** სპარსელ რაზმებთან შეტაკების დროს ქურთებმა უკან დაიხიეს და მთებს შეეფარნენ. პროვინციის ჩრდილო დასავლეთის ნაწილი ამ ჟამად სპარსელების ხელთაა. ქურთების მომხრე სუნიტების სოფლები გუბერნატორს პატიებას სთხოვენ. სუნიტების სოფლების დარბევისა გამო, ოსმალეთის ელჩმა პროტესტი განაცხადა. გუბერნატორმა უპასუხა სუნიტელთა სოფლები ქურთების დაფარვისათვის ისჯება და ელჩს ნება არა აქვს ჩვენ შინაურ საქმეებში გაერიოსო.

**პარიზი.** ფინანსთა მინისტრ კოშერის თავმჯდომარეობით დაიწყო საერთაშორისო კონფერენცია უმუშევართა საკითხის გასარჩევად. კოშერი მთავრობის სახელით მიესალმა დელეგატებს: აღნიშნა ეკონომიურ ბრძოლის მნიშვნელობა დაუღალავ და უანგარო შრომის ორგანიზაციისა, მუშების კეთილ განწყობილების და უმუშევართა დამზღვევ ორგანიზაციის მოწყობისა გამო მადლობა გადუხადა.

**სოფია.** მაკედონიიდან გაქცეულ ბოლგარელთათვის. რომელნიც სამშობლოს უბრუნდებიან, საზღვარზე სამი პუნქტია დანიშნული, სადაც სამი ოსმალეთის კომისია იმყოფება. ჯერჯერობით სამშობლოში 1165 კაცი დაბრუნებულა.

**სოფია.** აღმოსავლეთ რუმინიასთან შეერთებიდან 25 წლის შესრულების გამო მოედანზე, პარაკლისი იქმნა გადახდილი, პარაკლისის შემდეგ ხალხი დიდის პროცესიით მთავარ ქუჩებისაკენ გაემართა, შეჩერდნენ მეფე-განმანთავისუფლებლის ძეგლის წინ და შემდეგ ინახულეს საფლავი დიდი მთავრის ალექსანდრესი და დედოფლისა. მთელი ერი დღესასწაულობს.

**ათინა.** გაზეთების ცნობით, მეფემ განაცხადა, ეროვნულ კრებას დამფუძნებელ კრებად აღიარებას არასოდეს არ დაეთანხმებიო.

**თეირანი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ვოსუგუდ დოულე ფინანსთა მინისტრად ნამყოფი, სეპეხდარის კაბინეტში დაინიშნა. ეფრემის დასახმარებლად მაძებარ პოლიციის უფროსად დაინიშნა რუსეთიდან გამოქცეული რუსეთის ქვეშევრდომი და პარტიიდან განდგომილი ამირაჯიბ-ივერიელი, რომელიც არა ერთხელ ყოფილა გამოძევებული სპარსეთიდან რუსეთის მისიის მიერ. ამირაჯიბმა თავის მოქმედება იმით აღნიშნა, რომ მან შეიპყრო ინგლისის საელჩოს მეორე ხარისხოვანი აგენტი, რომელსაც ჯაშუშობას აბრალებდნენ. ინგლისელ საელჩოს თხოვნით აგენტი დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეს.

**სტამბოლი.** 4 სექტემბერს საპატრიარქო იუსტიციის მინისტრს გადასცა შემდეგი შინაარსის მოხსენება: მთავრობის მიერ საგანგებო ზომების მიღების გამო პატრიარქი იძულებულია დროებით უარყოს ეროვნული კრება. მინისტრმა წერილობით უპასუხა, რომ მთავრობას არ შეუძლიან არც ეხლა და არც შემდეგ ნება დართოს ეროვნულ კრების მოწვევაზე ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება კანონებს. მონასტერში საალყო წესები გამოაცხადეს. ტრაპეზონდში ხოლერით ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2.

## ჰაერში ფრენა.

**პეტერბურგი.** ფარმანის ბიპლანზე სავარჯიშოდ გაფრინდა ავიატორი ეფიმოვი. სამჯერ გაფრენის შემდეგ ბიპლანი მიწაზე დაშვების დროს თვლებით რუში ჩავარდა და ძალიან დაზიანდა. ეფიმოვი უვნებლად გადარჩა.

## რუსეთი

**იაკუტსკი** ვაჭარმა ევერსტოვმა 50,000 მან. შესწირა თავის სახელობაზე იაკუტსკში საზოგადო ბანკის დასაარსებლად.

**ოდესა.** ოდესის პირველმა კურიამ სახელმწიფო სათათბიროს წევრად 774 ხმით აირჩია მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ბარონი რენო, მართმადიდებელი, ზომიერი მემარჯვენე, რომელმაც გაათავა მიხაილოვის არტილერიის სასწავლებელი. ჩაუშანსკიმ მიიღო 533 ხმა.

**რიგა.** პოლიციამ აღმოაჩინა საიდუმლო კრება. შეიპყრეს 8 კაცი. კონფისკაცია უყვეს კორესპონდენციებს და მუშათა კავშირის კასრის ანგარიშებს.

**ეკატერინოდარი.** კირპილსკის სტანციაში დაიწვა ხოლერის ბარაკი. დაიღუპა სულით ავადმყოფი გლეხი, რომელიც შემთხვევით შესულიყო.

**ოდესა.** უნივერსიტეტის საექიმო ლაბორატორიაში აღმოაჩინეს შავი ჭირით საეჭვო ავადმყოფი სტუდენტი. უნივერსიტეტის მთავრობის განკარგულებით ლაბორატორია არ დღეს დაკეტეს.

## ხოლერა.

**პეტერბურგი.** დღე ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 45, გარდაიცვალა 15, საავადმყოფოებში არის 571.

სააგენტომ მიიღო შემდეგი ცნობები ხოლერის მსვლელობის შესახებ: არიოლში ავად გახდა 2. გუბერნიაში 21. კურსკში ავად გახდა 75, მოკვდა 35. მიტავის მაზრაში ავად გახდა 2, ფრიდრიხშტატში გარდაიცვალა 1.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მართლ-მსაჯულების მინისტრის მიერ ტფილისში წარმოთქმულმა სიტყვამ მთელი რუსეთის პრესსა აალაპარაკა. სხვათა შორის აი, რას ამბობს გაზეთი „რეჩი“:

„ქმნა „რუსისა“ სამართლისა“! რას ნიშნავს ასეთი სიტყვები, იმას ხომ არა, რომ იქმნეს სამართალი ჭეშმარიტი, სწრაფი, მოწყალე, ყველასათვის თანა სწორი?.. არა! ამას არ ნიშნავს, ვინაიდან ზემოდ ჩამოთვლილი თვისებანი **სამართლის** თვისებანია ყველა კულტურულ და არა კულტურულ ხალხთა მართლმსაჯულებისა და ამგვარი მართლმსაჯულება ნიშნიზლივ რაიმე „რუსულს“ არ შეიცავს. ან იქნება „ქმნა რუსულის სამართლისა“ იმას ნიშნავს, რომ მართლმსაჯულება რუსულ ენაზე უნდა სწარმოებდეს?

და განა ასე არ არის კავკასიაში? განა იქ ხშირად დამტვრეულსა და თარჯიმანთაგან ხშირად განგებ დამახინჯებულ რუსულ ენაზე არა სწარმოებს სამართალი? სწორედ ეს არის კიდეც მწვავე იარა რუსის სამართლისა „მშვენიერ კავკასიაში“.

ან „ქმნა „რუსის“ სამართლისა“ იქნება იმას ნიშნავს, რომ კავკასიაში უნდა რუსის კანონების მიხედვით სწარმოებდეს მართლმსაჯულება? მაგრამ განა ასე არ არის? განა რუსის კანონების მიხედვით არ ირჩევა საქმეები? მართალია, ათასში ერთხელ მოსამართლენი მიჰმართავენ ხოლმე ადგილობრივ მკვიდრთა ადათ-ჩვეულებებს და შარიათს, მაგრამ ასეთი შემთხვევებიც რუსის კანონით არის განსაზღვრული. ნუ თუ ბ. მინისტრი იმას ურჩევს კავკასიის მოსამართლეთ: ყურადღებას ნუ მიაქცევთ კანონით ნაჩვენებ შემთხვევებს, ადგილობრივ ადათ-ჩვეულებათა და შარიათს გვერდი აუარეთ, ადგილობრივ მკვიდრთა ზნე-ხასიათს ჯიბრი გაუწიეთ და ჭკმენით მხოლოდ და მხოლოდ „რუსული“ სამართლით. ასეთი რჩევა ოდესმე რომ დიდ სამსახურს გაუწევდა „მშვენიერ და ტურფა კავკასიაში“ რუსის მართლმსაჯულებისათვის თავგამოდებით მებრძოლთა წმინდა საქმეს“. მაგრამ ასეთი რჩევა ხომ მეტის-მეტია, ვინაიდან „რუსის“ სამართლის მრავალ-ფეროვნება ყოველთვის არ არის გამოსაყენებელი.

მაშ, რის თქმა უნდა ბ-ნ მინისტრს? ცხადია რომ ბ-ნ მინისტრს კეთილ-მოქენება ეთქვა რაღაც ნიშნობლივი, რაღაც ნაციონალურ-რუსული ისეთი რამ, რასაც ჩვენ დროში და ჩვენ ყოფაში დიდი გასავალი აქვს. ე. ი. თუნდ ის, რომ „ჩვენ ხომ უბრალო ხალხი ვართ, სუფთა წყლის რუსები და, მაშასადამე, რუსეთი რუსებისა უნდა იყოსო“. ამიტომ ბ-ნი მინისტრი სულ „უბრალო ჭეშმარიტებას“ აღიარებს, როდესაც ამბობს, რომ საჭიროა „ქმნა „რუსისა“ სამართლისა“. და არა ქმნა სამართლისა ქართველთა, სომეხთა, თათართა, ოსთა და სხვათა. „რუსეთი რუსეთისათვისაა“, და „რუსის“ სამართალიც რუსებისათვის უნდა იყოს და არა ქართველებისა, სომხებისა, თათრებისა და სხვებისათვი-

# უმადური

(ამბავი).

...დიახ, ასე!—განაგრძო მათე ქარხნიშვილმა,—ბევრი რამ გამომიცდია ჩემს ცხოვრებაში, ბევრი მინახავს და გამიგონია; გამომიცდია შიში, სიმშილი, ტყვეობა, ქეიფი, სიყვარული, სიძულვილი და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ ისეთი, რომელიც უკვე გადავეცი დავიწყების ისტორიას, ჩავიკალ სამუდამოდ გულში, ან შევიძულე უბრალო მიზეზის გამო.

მაგრამ ერთმა უკანასკნელმა შემთხვევამ... დაიწყევლოს და დაიქცეს ის წუთი! დიახ, ერთმა უკანასკნელმა შემთხვევამ მე თითქო ყველაფერი დამაკარგვინა. დამაკარგვინა მიზანიც, ჩვეულებაც, რწმენაც და თუ გნებავთ, სიმდიდრეც კი!..

...ეს მოხდა ამ ორი დღის წინად. ის, ის იყო ცის ამაყი მნათობი დიდებულად ჩაესვენა კავკასიის ბუმბერაზ მთების გადაღმა, რომ ნიავმაც იმ წამსვე შეიბმრტყა თავისი გრილი ფრთები და სისინ-ჩურჩულით მოედო არე-მარეს... მე გავედი ჩემი სახლის აივანზე და ქალაქის მოძრაობას თვალს ვადევნებდი. ჩემთვის ყოველივე ძველი, ჩვეულებრივი სანახავი იყო და ამიტომ ერთ საგანს მეორისაგან იშვიათად თუ გავარჩევდი. ისაც თუ იგი განსაკუთრებით მიიქცევდა ძალაუნებურად ჩემს ყურადღებას. მომბეზრდა ცქერა, დავიღალე. მოსამსახურეს ვუბრძანე სკამი მოერთმია, დავჯექ და მოაჯირს დივეყრდნე. ამ დროს... ოხ, რა საშინელ ჯოჯოხეთად მეჩვენება მე ის დრო! ამ დროს ჩემს წინ საიდანღაც გაჩნდა ორი გლახა, უფრო კი, უნდა გითხრა, ისინი იყვნენ ორი ეგრეთ წოდებული ქუჩის „მაწანწალანი“, რომელთაც ჩვეულებრივი მათხოვრობა თავხედობათ გადაუქცევიათ. უცებ შედგნენ, ერთი მეორეს უწმაწური სიტყვებით მიმართეს, მუშტებითაც დაემუქრნენ და შემდეგ შუა გაიყვეს რამდენიმე გროში, მაგრამ ამითაც ვერ დაშოშმინდნენ. დაუშინეს ერთი მეორეს მუშტი, სანამ ერთმა არ დასძლია, რომელმაც ხელთ იგდო მეორის წილი... პირველმა ტირილით, ხოლო მეორემ სიცილით დააბოლოვეს თავიანთი „ორ გროშიანი“ ომი. ეს ყოველთვის ასე ხდება: გამარჯვებული იცინის, იცინის თუნდ მისი გამარჯვება ყოველ ზნე და ჩვეულების წინააღმდეგიც იყოს... იცინის რადგან იგი გამარჯვებულია! დიახ, იცინის და ამ დროს იგი უძლიერესი და უდიდესი მხეცია მთელ სამყაროში, რომელიც თავის საცოდავ მსხვერპლს შხამავს გესლიან კბილებით კი არა... გესლიანი სიცილით!..

... მე შემეცოდა პირველი, ესე იგი ის, რომელიც დამარცხდა და ტიროდა უკანასკნელი ლუკმის დაკარგვას... ხელი დავუქნიე და ჩემთან მოვიხმე. ის გამოფხიზლდა, თვალები ამოიწმინდა და დაუფიქრებლად ჩემი სახლის კარებს დაეტაკა. „დასწყევლოს ღმერთმა და ეშმაკმაც ამის დამკეტავი და პატრონიც“, —მომესმა მე იმის უკმაყოფილო ხმა,—„ძალიან კი უფრთხილდებიან თავიანთ წამხდარ სიცოცხლეს“. ამ სიტყვებმა ჩემი გადაწყვეტილება ვერ შემაცვლევინა. მაშ რა უნდა ეთქვა იმ ადამიანს, რომელსაც პირველი ლუკმა ძალით წაართვეს, ხოლო მეორეზე კარები დაუკეტეს? ცხადია აქაც მას იგივე დაუნდობელი და უხეში ძალა მოელანდა.

ჩემის ბრძანებით მოსამსახურემ კარები გაუღო. მან ერთს წუთში ამოირბინა ორმოც-და-ათ საფეხურიანი კიბე, თამამის ნაბიჯით გამოიარა ჩემი ზალა. მისი თვალები გაფაციცებით ეძებდენ რაღაცას, მისთვის ჯერ უცნობს, გამოურკვეველს, მაგრამ დამინახა თუ არა ელმათად მოიჭრა ჩემთან, მძიმედ დამიკრა თავი და სარივით დაერჭო ჩემ წინ. შემდეგ ბოდიში მოიხადა რომ „შემაწუხა“. ის იყო, სუსტი აგებულებისა, გამხდარი, გაყვითლებული. ცალ-ფეხზე ეცვა ძველი გალოში ხოლო მეორეზე ძველივე ჯღანი, რომელსაც სრულიად დაჰკარგოდა თავისი პირვანდელი ფორმა და სახე, ორივე, ასე ვსთქვათ, ფეხსაცმელები მას უფარავდა მარტო ზედა-პირს ფეხებისას. სუფთა იატაკზე მტვრიანი ფეხის სურათი მთლიანად გადაიხატა: გარკვევით მოსჩანდა მისი ფეხის ქუსლი; შუაგული და ერთი მეორეზე დაშორებული ხუთივე თითი. ტანისამოსი კი...ოხ, საკვირველებავ! რაღაც განსაკუთრებული ნიჭისა და ხელოვნების მცოდნე უნდა იყოს კაცი, რომ ამდენი უფორმო ნაფლეთები ერთი მეორეზე მიაკოწიწოს და, რაც უნდა იყოს, ტანზეცა შერჩეს. ჭუჭყის და მტვრის საშინელი სუნი ვიგრძენი, მაგრამ მის საოცარ მორთულობას მაინც თვალს ვერ ვაშორებდი...

— მოგეწონათ?.. გიკვირთ?..— ღიმილით შემეკითხა ის,—ამ ერთი საათის წინეთ წავართვი ერთ ოხერს... ხა, ხა, ხა, ჩინებულია, ზამთარი რომ იყოს რიგიანად მომათბობდა. ახლა კი ცოტა არ იყოს მაცხუნებს კიდეც...

— წაართვი?!—გაკვირვებული შევეკითხე,—განა ამის წართმევაც შეიძლება?

— რატომაც არა! კაი ძალი შრომა დამჭირდა, ვიდრე სრულიად დავისაკუთრებდი.

— ღმერთო ჩემო! თქვენც... ხომ ცოდვაა?! შენსავით ღარიბს, გაჭირვებულს წაართვი?!

— ცხადია და რატომ არ უნდა წავართვა? რომ ხომრეოდა ის წამართმევდა...

— და ახლა რაღა გაჩხუბებდათ?

— ოო, ის დიდი მგელია. იმას ვერავინ რას წაართმევს. ცემაც იცის...

— აი, მაგიერი გიყო. შენ სხვას წაართვი, იმან კიდევ შენ წაგართვა.

— მაგის ჯავრი დიდი ხანია გულში მაქვს დამარხული. ერთხელაც იქნება მძინარეს მივასწრებ და მაშინ სულ ერთიან ჩავაშხამებ...

ეს სიტყვები მან ისეთის მუქარით და ბოროტის გამომეტყველებით სთქვა, რომ უნებურად შევეკითხე:

— როგორ, უნდა მოჰკლა თუ?!. ეგ ხომ...

— ეგ ჩემი საქმეა... თქვენ რისთვის დამიძახეთ? ჩვენ არავისა ვკლავთ...

მის სახეს რაღაც მოუსვენრობა დაეტყო. მე ამოვიღე მანეთიანი და მივაწოდე.

— ოო, გმადლობთ! დიდათ გმადლობთ!.. აი, ეს ყოველგვარ ლაპარაკსა სჯობია.—აღტაცებით წარმოსთქვა მან და რამდენჯერმე თავი დამიკრა.—აი, ეს ბევრად სასიამოვნოა და კარგიც!..

მე მეორე მანეთიც მივეცი და თან დავსძინე:

— პირველი საჩუქარი ეს იყოს. შემდეგ კიდევ...

— რაა?!—გაიკვირვა მან.

— შემდეგ კიდევ გაჩუქებ.—გავუმეორე,—მეტი რომ გაჩუქო მალე დაგეხარჯება, ან წაგართმევენ...

მისმა თვალებმა არეულად დაიწყეს ტრიალი და საშინელი ელვა. იგი ჯერ ხმას არ იღებდა. ვატყობდი რაღაც ძალას იკრებდა, რაღაცისთვის ემზადებოდა. გარინდებულივით იდგა.

— შემდეგში უფრო მეტსაც გაჩუქებ. დაბალის კილოთი უთხარი მე რომ ის გამორკვეულიყო.

— რაა?! კვლავ შემეკითხა იგი.— მ. ჩუქებ?!

მომაგონდა რომ ამ ჯურის ხალხს უადგილო ხუმრობით თავი მოსწონთ. ამიტომ თავხედობად არ მივილე.

— თუ ცოტაა, აი, კიდევ გაჩუქებ... მეტს კი აღარ...—კიდევ წვრილი ფული მივაწოდე. მან ისაც მაშინვე ჩამომართვა და მუჭაში წურვა დაუწყო. ერთბაშად წელში გასწორდა, გული ჩემსკენ გამობურთა და თვალი თვალში გამიყარა.

მე გავშტერდი შევატყე, რომ იგი არა ხუმრობდა. ღონე მოვიკრიბე, ჩემ გულში თავიც დავიწყევლე, რომ გონება გრძნობას დაუმორჩილე და იგი შეცდომით სახლში შემოვიწვიე. „ნუ თუ არა კმაროდა, რომ აქედან ქუჩაში გადამეგდო მისთვის ორგროშიანი, თუნდა მეტიც... აქამდე ხომ ყოველთვის ასე ვიქცეოდი—მეთქი... ვუსაყვედურე ჩემ თავს და თვალი მოვარიდე, მაგრამ რადგან მისი თვალები არ მშორდებოდნენ, სირცხვილმა მაიძულა, ისევ პირდაპირ შემეხედნა.

— რა მაჩუქე მე შენ?! წარმოსთქვა მან მეტის აღელვებით.

— რა გნებავს? დაცინვის კილოთი ვუპასუხე.

— რა მაჩუქე შენ?!..

— ფული... სამი მანეთი!.. მივუგე გაჯავრებით.

— ავაზაკო!.. მხეცო!.. გარყვნილო!.. გათახსირებულო ზნეობით!.. გონებით... საშინელის სიპრაზით ამბობდა იგი ამ სიტყვებს და თან ცდილობდა კიდევ ისეთი რამ მოეგონებინა, რომელიც უფრო მკვეთრად იმოქმედებდა ჩემზე.

— აი, უმადური კაცი! ვიქვი და გულში მწარედ ჩავიცინე. არ მინდოდა გულის პირველსავე წყრომას დავმორჩილებოდი.

— არა, რა მაჩუქე მე შენ?! რა მაჩუქე?!.

იმეორებდა იგი და თან და თან ჩემსკენ მოიწევდა.

ღმერთო ჩემო! მგონი ის კაცი გიჟი, სულით ავადმყოფი იყო, მაგრამ მე ამ აზრსაც ვერ შევრიგებივარ. არა, ის არ იყო გიჟი!..

არის ისეთი კაცი, რომელიც ყოველ ავსა და კარგს ერთის თვალით უყურებს, ყოველივეს ერთის საზომით ზომავს და სჭრის კიდეც!.. დიახ, არის ისეთი კაცი, რომლისთვის არსებობს მხოლოდ ერთი რამ კარგი, საყვარელი, რისთვისაც თვით სიცოცხლესაც არ დაიშურებს, ხოლო ეს „ერთი რამ კარგი“ არავინ იცის რა არის, არ იცის თვითონაც... და ამიტომ, თითქო შურს იძიებსო, ყოველივეს გმობს, კიცხავს, არა რად აგდებს, სძაგს თავისი თავიც... მოჰკლავს... მოიკლავს თავის თავსაც!...

ის არ იყო ასეთი ტიპის კაცი.

— რა მაჩუქე მე შენ?! რა მაჩუქე, რა მაჩუქე?!..

სათ. დიაღ, ამის თქმა ხომ არა სურდა ბ-ნ მინისტრს, ეს აზრი ხომ არ არის დედა-აზრი იმისი სიტყვისა? „წმინდა დანიშნულება“ რუსეთის მართლმსაჯულებისა, ნეტა იმაში ხომ არა მდგომარეობს, რომ კავკასიაში საჩივრების დროს ყოველთვის რუსები დარჩნენ ხოლმე გამარჯვებულნი და რუსეთის მართლმსაჯულება კავკასიაში მარტო რუსების ყაბარდოელებთან ბრძოლის დამატება ხომ არ არის!..

ბ-ნ მინისტრის ნათქვამი სულ უბრალო, გენიოსობამდის უბრალო აზრია. ისეთი უბრალო აზრი, რომლის მსგავსიც „რუსის დროშის“ ფურცლებზედაც კი (უკიდურესს შავ-რაზმელთა გაზეთია) არ გამოთქმულა... ნუ თუ მართლა მართლმსაჯულების ბ-ნ მინისტრმა ეს აზრი დაუდო „საფუძვლად“ განაპირა ქვეყნის მართლმსაჯულებასა?

ქეათედ კითხულობს გაზეთი „რეჩი“ თქვენ უფრო უკედ არ იცით! ვუპასუხებთ ჩვენც.

ამ დღეებში გაიხსნა ფინლანდიიის სეიმის კრებები. ეხლანდელი სესია ამ სეიმისა დიდ ინტერესს წარმოადგენს და ზოგიერთები ეჭვობენ კიდეც, რომ ეს სესია უკანასკნელი სესიად შეიქნება ფინლანდიის წარმომადგენელ დაწესებულებისათვის. სეიმმა უნდა განიხილოს სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული კანონი ფინლანდიის შესახებ. არავის ეჭვი არა აქვს, რომ სეიმი უარჰყოფს ამ კანონს და ეს უარყოფა კი შესაძლებელია მისი განდევნის მიზეზად შეიქნეს. ოქტომბრისტების გაზეთი „გოლოს მოსკვი“ ჭკუას ასწავლის ფინლანდიელებს.

როგორც ფინლანდიელი გაზეთები იუწყებიან, ამბობს „გოლ. მოსკვი“, ფინლანდია თავის მტრად აპირებს რუსეთის გამოცხადებას, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ეს უძლური გამოწვევაა პოლიტიკურ ინტრიგანების და არა ხმა და აზრი ფინლანდიის ხისა.

გაზეთი განაგრძნობს, რომ ეხლანდელი რუსეთი ძველი რუსეთი კი აღარ არისო, არამედ ახალი, წარმომადგენლობითი სისტემით გამაგრებულიო.

ეხლანდელ დროშიო, ამბობს „გოლ. მოსკვი“, რუსის მთავრობა ხალხის მოთხოვნილებებს იღებს მხედველობაშიო და ანგარიშს უწევს მათ.

გაზეთს ბევრი რამ ავიწყდება, თუგინდ გუშინწინდელი არჩევნები დეპუტატისა ოდესაში, როდესაც ოქტომბრისტების პარტიის წევრი მასწავლებელი მისირკოვი, რომელიც ოქტომბრისტთა სასარგებლო აგიტაციას ეწეოდა ოდესაში, გენ. ტოლმაჩევის მოთხოვნით დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, მაშინ დიდი ყაყანი დაიწყეს ამას შესახებ ოქტომბრისტებმა, ეხლა კი გაიძახიან მთავრობა ხალხის მოთხოვნილებას უწევს ანგარიშსო!

რა გულმავიწყობაა?!.

# ახალი ამბები

## ტფილისი

✦ **ყასბების თავგასულობა.** კარგა ხანია, რაც ხორცის ახალი ნიხრი ტფ. ყასბებს გამოუცხადეს, მაგრამ ისინი დღემდე არავითარ ნიხრს არ ემორჩილებიან და მყიდველს ხორცში ფასს ერთი-ორად ახდევინებენ. გუშინ ნიხრის დარღვევისათვის სავაჭრო პოლიციის უფროსის თანაშემწემ იოსავამ ორს ყასაბს ოქმი შეუდგინა.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** 6 სექტემბრისთვის დანიშნული იყო ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის კრება, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ, აგრეთვე, სახალხო უნივერსიტეტის პირველდაწყებით სკოლების მასწავლებელნი. კრებას უნდა გადაეწყვიტა, რა დროს დაიწყოს სწავლა უნივერსიტეტის სკოლებში, მაგრამ კრებაზე მასწავლებელთა და გამგეობის წევრთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა და კრება სხვა დროისთვის გადაიდო.

✦ **სამუსიკო საზოგადოებაში.** კვირას, 6 სექტემბერს სახალხო სახლთან არსებულ სამუსიკო საზოგადოების წევრთა კრება მოჰხდა. კრებაზე მოწვეული იყო ასამდე მომღერალი, რომელთაც სურვილი განაცხადეს ამ ზამთარს სახალხო სახლში განზრახულ ოპერებსა და კონცერტებში მონაწილეობა მიიღონ. კრებამ ამ მოწვეულ პირთა თანადასწრებით შეიმუშავა დაახლოვებითი გეგმა მოქმედებისა.

✦ **ლექციები სახალხო სახლში** სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ გადასწყვიტა 15 სექტემბრიდან ზუბალაშვილის სახალხო სახლში ლექციების მუდმივ მართვას შეუდგეს.

✦ **ქალაქის საბჭო.** 6 სექტემბერს საღამოს. ქალაქის მოურავის მოადგილეს ა. ი. ხატისოვის თავჯდომარეობით ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება მოჰხდა. პირველად თავჯდომარის წინადადებით, კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულთა ვ. ნ. ჩერქეზიშვილის, ქალაქის საბჭოს ხმოსანის ს. პ. ეირანოვს, ნ. დ. ზუბალოვის, მსახიობი ქალის ნატო გაბუნია-ცაგარლის და ქალაქის ფერშალიის გალოგუხოვის ხსოვნას. კრებამ ამის შემდეგ მოისმინა გამგეობის მოხსენება ხოლერისა, და მის წინაღმდეგ მოქმედებისა და სატრაქტირო გადასახადის შესახებ. დაადგინა განსვენებულ თავ. ჩერქეზიშვილის შვილებს ქალაქის თანხიდან თვეში ხუთ-ხუთი თუმანი დაენიშნოთ: ქალებს გათხოვებამდე ეძლიოთ ეს ფული, ხოლო ვაჟს სწავლის დამთავრებამდე.

✦ **ფუვარგისი ფქვილი.** 6 სექტემბერს ტფ. მოქალაქე პეტრე ივანეს ძე გრინინმა ანდრეევის ქუჩაზე ბარიბას ბაბიკოვის ფურნეში იყიდა მეორე ხარისხის პური, რომელშიაც მატლები აღმოჩნდა. გრინინმა ეს ამბავი პოლიციას აცნობა, ბაბიკოვის ფურნე ამავ დღეს დაათვალიერეს მეთორმეტე უბნის ბოქაულმა და სავაჭრო სამეურნეო პოლიციის ზედამხედველმა არამ ხარაზიანცმა, რომლებმაც სხვათა შორის, ფურნეში აღმოუჩინეს მოსაზელად გამზადებული ორი ტომარა ნავვიანი და მატლიანი ფქვილი ფურნე დაბეჭდეს. ბარიკოვს სამართალში აძლევენ.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი.** სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 6 სექტემბრის დილის 9 საათიდან 7 სექტემბრის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით გახდა ავად 1 კაცი. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 11 ავადმყოფი, მორჩა და გამოეწერა—4, დარჩა—7.

✦ **მეხის მსხვერპლნი.** სოფ. მირალეთის ახლო მეხმა მოჰკლა ურმით მინავალი გორის მაზრის სოფ. ალეთის მცხოვრები, გრიგოლ სანაყოშვილი და მისი სამი ხარი.

✦ **პირველი სათათბიროს დეპუტატის დაპატიმრება.** სასამართლოს გამომძიებელის განკარგულებით დააპატიმრეს პირველი სახ. სათ. დეპუტატი სტეფანე ტერ-ავეთიკოვი.

✦ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა თანამდებობის გაუქმება.** თანახმად სახალხო განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტისა სწავლის საქმის რეფორმის შესახებ გაუქმდება ოლქის მზრუნველების თანამდებობა და მის მოვალეობათა ერთი ნაწილი გადაეცემა სამაზრო და საოლქო ინსპექტორებს, ხოლო მეორე ნაწილი—სამინისტროს.

✦ **იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი.** საქართველოს სამხედრო გზაზე გავლის დროს იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი ხანგრძლივად გაჩერდა ს. ყაზბეგში, სადაც მას თავ. გ. ნ. ყაზბეგის მეთაურობით წარუდგნენ ხევის სოფლის საზოგადოების რწმუნებულნი, რომელთაც მიართვეს მინისტრს პურმარილი, დაწვრილებით აუხსნეს თავიანთი გაჭირვებანი და სხვათა შორის, სთხოვეს დაარსდეს ს. ყაზბეგში მომრიგებელი სამართლოს განყოფილება, რადგანაც მათ დუშეთში, ასი ვერსის მანძილზე, უნდებათ სიარული. როგორც გვატყობინებენ, მინისტრი თანაგრძნობით შეხვედრია ამ წინადადებას.

✦ **გაზეთების დაჯარიმება.** ბაქოს გრადონაჩალნიკმა მავნე მიმართულებისა გამო 200 მან. დააჯარიმა გაზეთი „კასპი“ და 300 მანეთით გაზ. „ბაკუ“.

✦ **ჩერქეზიშვილის ქუჩა.** ტფ. ქალაქის საბჭომ დაადგინა ავჭალის ქუჩას დაერქვას ჩერქეზიშვილის ქუჩა, ტფ. ქალაქის მოურავის განსვენებულის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად.

✦ **ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 6 სექტემბერს ტფილისში ხოლერით ავად არავინ გამხდარა.

✦ **სეირნობა.** დღეს სპორტის ბაღში სახალხო სახლთან არსებულ სამუსიკო საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულია დიდი სეირნობა.

✦ **ქალაქის მოურავის არჩევნები** 6 სექტემბერს ქალაქის საბჭომ 25 ხმით 17 წინააღმდეგ გადასწყვიტა ახლავ მოჰხდეს. ქალაქის მოურავის არჩევნები დაინიშნა 20 სექტემბრისათვის.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი ტფილისში.** ტფ. ქალაქის გამგეობის ოფიციალურ ცნობით, ხოლერიანობის დროს (ივლისიდან სექტემბრამდე) ტფილისში ხოლერით ავად გამხდარა 926 კაცი, ამათგან გარდაცვალა 273, ხოლერიანთა სამკურნალოში შემწეობა აღმოუჩენიათ 356 კაცისთვის.

✦ **გადასახლებული.** 6 სექტემბერს ვორონცოვის ქუჩაზე, არუთინოვის დუქანში პოლიციამ შეიპყრო ტფ. მცხოვრები ნიკოლოზ ილიას ძე მუხრანსკი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო ორი ახალი წიგნი რუსულ ენაზე: „მოკლე გზის მაჩვენებელი ქალაქ ანში სამოგზაუროდ“ და „ინგლისის მუზეუმის სიძველეთა კატალოგი“. თხზულება ი. ორბელისა. წიგნები ჩინებულადაა გამოცემული.

✦ **სასწავლებელი და სტიპენდია ჩერქეზიშვილის სახელობაზე** ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა ქალაქის ერთ-ერთ სასწავლებელს დაერქვას განსვენებულ თავ. ჩერქეზიშვილის სახელი. საბჭომ გადასწყვიტა თ. ჩერქეზიშვილის სახელობაზევე ერთი სტიპენდია დაარსოს ქალაქის ერთ-ერთ საშუალო სასწავლებელში რუსეთში პრესის ორასი წლის არსებობის აღსანიშნავად.

✦ **აბანოების დახურვა.** როგორც ვწერდით, ამას წინად ქალაქის სასანიტარო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა ზოგ აბანოების დახურვის შესახებ, რადგან იქ უსუფთაობა აღმოაჩინეს. კვირას, 5 სექტემბერს დილით, ამ შუამდგომლობის თანახმად, დახურულ იქმნა ირაკლისა და ბებუთოვის აბანო.

✦ ბორჩალოს მაზრის სოფელ კორიხდოში თავის სახლში გიდასებმა თოფით მოჰკლეს კოსტე ადიახაროდლი.

✦ 30 აგვისტოს, ახალციხეში სამი ბოროტგანმზრახველი თავს დაესხა გიორგი სიხარულიძის ბეჟენტს და ფული მოსთხოვეს. ბოროტგანმზრახველებმა წაართვეს 41 მან. და 71 კაპ. და მიმალნენ.

✦ ახალციხის მაზრის სოფელ შადოშეთის ახლო სპარსეთის ქვეშევრდომმა უსენ ალი ოღლიმ გაუპატიურა ცხრა წლის ქალი.

✦ 6 სექტემბერს, სადილით, ნავთლუღის მოედანზე ცეცხლი გაუჩნდა გენერლის ქვრივ მარიამ კარგანოვის სახლს. ცეცხლი ქალაქის ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. ზარალი 1500 მანეთამდეა,

✦ 6 სექტემბერს „სკვნზი“ შესახვევში იპოვეს ჩვრებში გახვეული ბავშვი მამრობით სქესისა, დაახლოვებით ერთის კვირისა.

✦ 6 სექტემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 33 უპასპორტო.

✦ 6 სექტემბერს ნაშუადღევის 2 საათზე ელისაბედის ქუჩის შესახვევში ტრამვაის ვაგონი № 10 დაეჯახა მომავალ ეტლს № 45, რომელშიაც ისხდნენ მგზავრები. ეტლი გადაბრუნდა და ცხენი გაფუჭდა. მეეტლე მიკირტიჩ ბაბაევი მსუბუქად დაშავდა, მგზავრები კი-გადარჩნენ.

---

**შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში სამგლოვიარო განცხადებაში შეცდომით დაიბეჭდა კაპიტანი თომა ილიას ძე რცხილაძეს—უნდა იყოს რომან ილიას ძე რცხილაძე.

# გურიის ამბები

— არ იქნა და არა! ვერ ვღირსეთ ჟურნალ-გაზეთების დროზე მიღებას. ეს ერთი წელია, რაც ჟურნალ-გაზეთების აგენტობა იკისრა ბ-ნ თალ-ძემ და აი სწორედ ამ დღიდან გაზეთების მიღების ბედ იღბალი უკუღმა დატრიალდა. ხან არ მოსდის გაზეთები, ხან დაფლეთილ დაწეწილს ღებულობს, ხან რომელიმე ხელის მომწერლის გაზეთი აკლია, ხან მესამე და მეოთხე დღეზე მოდის, და ხან კი სულაც არ ღებულობს. და, აი სწორედ დღეს მეათე დღე იქნება, რაც ოზურგეთის თვალს ჟურნალ-გაზეთები აღარ უნახავს. (მოდის მხოლოდ „საქმე“ ისიც მესამე დღეზე) გაზეთების დამტარებლებზე ლაპარაკი ხომ ზედ მეტია, ხან სულ არავინ არ ატარებს და ხან ერთი დამტარებელი გამოდის. ამასაც გაზეთის გაყიდვის საქმისა არა ესმის-რა.

საჭიროა და ძრიად საჭიროც, რომ ჟურნალ-გაზეთების მიღების საქმე რიგიანად იქმნას დაყენებული.

დღეს, როგორც ოზურგეთში, ისე მთელ გურიის სოფლებში, დიდი ავადმყოფობაა. ისეთ ოჯახს ვერ შეხვდებით, რომ თით-ოროლა ავადმყოფი არ იყოს. საავადმყოფოში ყოველ დღე 30—40-მდე ავადმყოფი დაჰყავთ.

როგორც იქნა ვღირსეთ ოზურგეთის სამკითხველოს გახსნას, სამკით-

---

არ მეშვებოდა იგი. მე პასუხს არ ვაძლევდი. რა ვაჩუქე მე იმას? რა უნდა მეთქვა მე იმისთვის? ცოტა არ იყოს მიუხვდი, რომ მას სხვა ნაირად ესმოდა ეს წყეული სიტყვა: „მაჩუქე“. ხოლო კარგად ვერ გავარკვიე და უნებურად ჩემს გარშემო მიმოვიხედე.

— ოჰო! ჯიბს ეძებ? იარაღს... უნდა მცემო... მომკლა?..

შემომანათა მან სასტიკი და თანაც იქვით სავსე თვალები და კვლავ თავის წყეულ კითხვას დაუბრუნდა:

— მაინც მიპასუხე: რა მაჩუქე შენ მე?!

— გამშორდი მეთქი, დავუყვირე რაც შემეძლო და მეც წამოვდექი.

მე შემეძლო მეცემნა უჯოხოდაც, მეცემნა სხვის დაუხმარებლად, შემეძლო დამეხრჩო კიდეც კისერში ხელის წაჭერით—მქონდა იარაღიც.. რევოლვერი მზათ ჯიბეში მედო, რომელსაც არას დროს არ ვიშორებდი, მაგრამ რაღაც უცნაური ფიქრი, რაღაც უცნაური ძალა მიჭერდა. ცხადი იყო ამ დროს სახეზე ცუდი ფერი დამედებოდა... ცუდი, სიმხდალის ფერი.. ჩემში ჩემი თავის შესახებ ცნობის მოყვარეობამ გაიღვიძა, გამახსენდა, რომ იქვე ჩემს გვერდით კედლის დიდი სარკე იდგა. ერთი თვალის გადახრით დავინახე მთელი ჩემი სხეული: იგი თითქო, თრთოდა კანკალებდა.. ჩემ სახეს თეთრი, რაღაც უსახო ტილოს ფერი ედო... „ნუ თუ მე ამ გლახის უნდა მეშინოდეს“, გავიფიქრე ჩემი თავის შესარცხვენად. არა, მე იმისი მართლაც არ მეშინოდა. მე შემეძლო იმისი სუსტი სხეული ერთის დარტყმით უსიცოცხლო მძვრად მექცია... შემეძლო ქვასავით გამესრისა... ესეც არ იყოს, ის ხომ ჩემ სახლში იყო? მე მყავდა რამდენიმე მოსამსახურე, რომელნიც კბილის ღრჭენით ელოდნენ ჩემს ბრძანებას... მე არც ეს უხეში ძალა მოვიშველიე. დიახ, იგი უფრო ანიხლდებოდა, ბრაზობდა და ჩემსკენ მოიწევდა. ერთი ხელით ჩემი ჟილეტის ფოლაქს შეეხო. მე ჩემი საათის ძეწკვს ხელი მოვავლე და ამოვიღე.

— არა, მე მძარცველი არა ვარ, შეინახეთ თქვენი საათი. ამაყად მითხრა მან, თითქო აქით მე იმის თავმოყვარეობას შევეხე.

— ინებეთ! ვუთხარი მე და საათი მივაწოდე. მან თავი ოქნავ შეაქანა, მგონი მადლობის ნიშნათ, და საათი ჩამომართო.

მეგონა თუ ამით მაინც დავაკმაყოფილებდი მის ველურ ჟინს.

— მაჩუქე?

— გითავაზე. ნელის ხმით მივუგე მე.

— არა. შენ ესეც მაჩუქე.—ფლიდო!. მაქ ყუარავ!.. შენ გინდოდა გეთქვა, რომ ეს მაჩუქე და არა მიიავაზე. თავაზი შეუძლია მხოლოდ პატიოსან კაცს... შენ კი ეს მაჩუქე, გესმის, მაჩუქე!..

გავშტერდი. ცილის წამება მგონია ქვასაც აალეწვებს. ასეთი დამცირება! ასეთი შეურაცხყოფა!.. მინდოდა მეკბინა იმ ხელზე, რომლითაც მე იგი ქუჩიდან მოვიწოდე.

— დიახ, გაჩუქე!.. გაჩუქე!.. გაჯავრებით მივუგე მე. მინდოდა ერთბაშად გადმომენთხია რაც გულში ბოღმა მიტრიალებდა, მაგრამ თითქო რაღაცამ პირზე ხელი დამაფარა. ჩემი თავისავე შემრცხვა. ერთი ბიჯი უკან გადავდგი და შეკავებულის კილოთი ვუთხარი:

— გთხოვთ... წაბრძანდეთ!.. წაბრძანდეთ..,

— თქვენ ეგ კარგადა სთქვით..—მითხრა მან და ისევ ჩემსკენ წამოიწია, საათის ძეწკვი შოულივით ჩამომაზომა ცხვირზე თითქოს მექანდაკე იყოსო,—და მითხრა აბა, გაიმეორე შენი უკანასკნელი სიტყვები და შემდეგ ესაცა სჭთვი:

— „გაჩუქე სამი მანეთი და ერთი საათი.“ სთქვი! უბრალო ყოყმანით სულის კვეთებას ვერ დაფარავ. იგი მაშინ ამოცურდება თავის ნამდვილი სახით ზევით, როდესაც შენ გეგონება, რომ ის უკვე ჩაახრჩე გულის უფსკრულში.—

— სთქვი!..

ახა, ღმერთო! ასეთი მოუშორებელი, ასეთი გაუთავებელი, ასეთი ჟინიანი კითხვა?! ნუ თუ მართლა გიჟია?! კვლავ დმვეკითხე ჩემ თავს, და თვალები იატაკს დავაშტერე...

ჩვენ ადამიანს ისე კი არ უყურებთ, როგორც რთულს, ძნელად გამოსაცნობ ერთეულს, არამედ როგორც უბრალო ტიკინს. ადვილად დასაშლელსა და გასატეხს..

იგი ისევ შეეხო ჩემის ჟილეტის ფოლაქს. მე ჯიბეზე უნებურათ ხელი ვიტაცე და რევოლვერი ამოვიღე.

— მესროლე! აი, აგრე!. მითხრა მან და შიშველი გული მიჩვენა.

მე რაღაც გაუგებრათ წავიბუტბუტე და რევოლვერი მას მივაწოდე.

— შენი უკანასკნელი სიტყვები კი ვერ გავიგე.—მითხრა მან და გამომართო.—ვინ იცის რა ძვირად ეღირებოდა იგი ჩემთვის; ან შენთვის... გთხოვ ისევ მოიგონო, ან და საჭიროც არ არის. შეიარაღებული კი ყოფილხარ... ვინ იცოდა თუ ასეთი დიდი ძალა იმალებოდა შენს ჯიბეში .. დიახ, კარგი რევოლვერია, თუ ნიშანს გვერდს არ უვლის და მტრის მაგიერ მოყვარეს არა ჰკლავს... სწორედ კარგი რევოლვერია... ახალი სისტემის... დრრახხ!. და წუთიერ რამეს საუკონოთ აქცევ...

მან კედლები შეათვალიერა. ჩემი სურათი იცნო და გაეღიმა.

ეს სურათი... უკაცრავად ეს თქვენა ბრძანდებით!

— მე ვარ!..

— მაშ, ცხადია, თქვენ თქვენი თავის წინააღმდეგ არ წახვალთ. მითხრა დაცინვის კილოთი და სურათს დაუმიზნა,—მე ერთ დროს კაი სროლა ვიცოდი და ნადირობაც ძრიელ მიყვარდა. რევოლვერი ამ შემთხვევაში ვერაფერი შველის, პირიქით გაშოუსადეგარიცაა. ამით მხოლოდ კაცს თუ მოჰკლავ.

მან რევოლვერი რამდენჯერმე ხელში შეატრიალა, ჩახმარი მომართა და მიზანში იღებდა.

— აბა, ხმისა არ შეგეშინდეს. არც დაიყვირო. მე ვვარჯიშობ...

მითხრა მან.

ერთბაშათ თვალ წინ წარმომიდგა საშინელი სურათი ჩემი დამფრთხალი ცოლშვილისა, მათი წრეს გასული წივილ-კივილი და ათასი ვაიუშველებელი,—ისინი ამ დროს ეზოს ბაღჩაში დასეირნობდნენ და ჩემს მდგომარეობაზე ჯერ არაფერი იცოდნენ. მაგრამ არა, იგი ბევრად უფრო მოფიქრებული და ოხუნჯიც გამოდგა, ვიდრე მე მეგონა.

— არ ვარგებულა. სთქვა მან და ძალად ცხვირი დააცემინა,—მოკვდა... ცხვირით მოვკალი! ჰა, ბატონო, მოკვდა თუ არა? თუ არა, შეიძლება დაკარგული დრო ისევ დავიბრუნო, მაგრამ საქმე არც ამაშია, მაჩუქე?!.

— გითავაზე...

— ეგ ჩინური სიბრძნე, რომ გადავთარგმნოთ ასე გამოვა: „გაჩუქე“. არა თუ? ჩემო მოწყალე მასპინძელო, მე ჩინური ენაც ვიცი. არაბულიც და... ასე განინჯე, ველურიც კი... ხომ არ გეგონათ, ბატონო ჩემო, როცა ეს რევოლვერი გადმომეცი, რომ კარის დარაჯათ დაგიდგებოდი? ან თუ თქვენი კასის მეარტელეს როლს ვიკისრებდი? განა თქვენ, განათლებულს და უმაღლესად განათლებულს, სასწაულმოქმედებისა გწამთ რაიმე? ხა, ხა, ხა!.. მითავაზე? მართლა მითავაზე? იქნება მაჩუქეთ და არა მითავაზეთ. აა? მაგრამ მე ვიცი, რომ მითავაზეთ, ნამდვილად მითავაზეთ. ხომ? ხომ?

მე თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიე.

— ჰოო? მაშ ეგრე?!.

მე ისევ თავი დაუქნიე.

მხდალო, მშიშარავ, სულ მდაბალო!..

კილო შესცვალა და რევოლვერი გულზე დამადო. ერთი უბრალო თითის განძრევა და.,. ყოველივე ვათავდებოდა...

აშკარად დავინახე და მწვავეთაც ვიგრძენი ჩემი შეცდომა, რომ ამ დამთხვეულს რევოლვერი ხელში ჩაუგდე.

ის კი მაინც თავისას არ იშლიდა.

— მითავაზე? მითხარი, რომ შენ ეს მითავაზე. ეს ხომ შენივე სიტყვებია. ნუ თუ შენივე სიტყვისა გერიდება, ან გეშინიან?

მე ხმას არ ვიღებდი.

— მითხარი, მითხარი-მეთქი, თორემ... ისე არ მოგეშვები. მითხარი, რომ კი არ მითავაზე, არამედ მაჩუქე.

— გააჩუქეეთ..—ძლივს წამოვლუღლუღე.

— აი, ეგრე.—კიდევ გაიმეორე, გაბედულად!..

მე სრულიად აღარ დამემორჩილა ენა და უთავბოლოდ პირს ვაღებდი

— სუფთა და სალი კბილები გქონია... მაგრამ შენი ვალი? აბა გაიმეორე! იქნება დაგავიწყდა? მაშ ისევ თავიდან დავიწყოთ: რა მაჩუქე მე შენ!

გულის საშინელი სისუსტე ვიგრძენი. მუხლები მეკვეცებოდა და რომ იქვე კედელი არ ყოფილიყო უთუოდ წავიქცეოდი. ერთი აზრი მეორეს ვეღარ შეუთანხმე. თვალებზე რაღაც შავი ბინდი გადამეფარა. ყველაფერმა ერთი სახე მიიღო, ერთი ფერი, ისიც გაურკვეველი და თანაც საშინელი. ყურებში ჩამესმა რაღაც ველური წივილი, შურის ძიების ხმა, ხმა დაუნდობელი, შეუბრალებელი, რომელიც იკლავდა საშინელ წყურვილს შურის ძიებისას.. უკანასკნელად გავიგონე მისი დამცინავი და თანაც ბრაზით სავსე შეკითხვა: „რა მაჩუქე შენ მე?“ და თითქო დასკვნაც თვითვე გამოიყვანა: —„ის, რაც წაართვი!“..

შორით, თითქოს ცხრა მთას იქიდან, მოისმოდა მისი თავ-დაუჭერელი ხარხარი, ხარხარი დამცინავი, ცინიკური... ხარხარი გამარჯვებული ადამიანისა!..

მე გული წამსვლოდა. ცოლ-შვილის წივილ კივილმა გამომაფხიზლა. გაფანტვით მიმოვიხედე და... ის იქ არ იყო...

საათი... რევოლვერი, ჩემი ვერცხლის მანეთიანები კი იქვე ჩემს ფეხებთან ეყარნენ...

— ოო, ასეთი უმადური კაცი!?

დაასრულა მან თავისი ამბავი და ღრმა ფიქრს მიეცა. ა. ჭელიძე.

ხვილოს ამ ჟამად გამოწერილი აქვს თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთები. მკითხველებიც საკმაოდ ჰყავს.

პირველ სექტემბრიდან გურიის ყველა სასწავლებლებში სწავლა დაიწყო. სამოქალაქო სასწავლებელში კი სწავლა 6 ენკენისთვეს დაიწყო.

სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად დაინიშნა ვიღაც ტუზოვი (რუსია), რომელიც უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

29 აგვისტოს ვიღაცებმა მოჰკლეს ამაღლების მამასახლისი თეოფილე წერომე, ამის გამო იქ ჯარი გაგზავნეს. 2 სექტემბერს ოზურგეთში ჩამოიყვანეს ათი დაჭერილი კაცი, რომლებიც ადგილობრივ სატუსაღოში ჩასვეს. გამოძიება სწარმოებს.

24 აგვისტოს, ს. ხვარაბეთში შემდეგი ამბავი მოხდა: დილის ათი საათი იქნებოდა რომ უცებ ასტყდა ზარის რეკა. ხალხმა იმ წამსვე თავი მოიყარა ეკლესიის გალავანში. მნათემ შეკრებილ ხალხს გამოუცხადა, რომ ვიღაცეები ეკლესიას დაეცნენ და 47 მან. წაიღესო. ხალხი გამოძიებას შეუდგა. რამაც გამოარკვია რომ ყველა ეს მოგონილი ყოფილა და თვით ბატონი მნათე ყოფილა ქურდიც და პროვაკატორიც.

მნათე დააპატიმრეს. **ოზურგეთელი.**

# მუშათა მდგომარეობა ისპანიაში

საერთო გაფიცვამ, რომელიც მოდებული იყო ისპანიის სამრეწველო ქალაქებში, ბილბაოში, სარაგოსში და ბარცელონაში, ლეღლო ვერ გაიტანა.

ბილბაოში უკვე მშვიდობიანობა მყარდება, რადგანაც კანალეხასმა აღუთქვა მუშებს, რომ ამ მიმდინარე წელს კანონმდებლობით შემოაღებინებს 9 საათის სამუშაო დღეს მაღაროებში.

თითქმის ოცი წელიწადია, რაც მაღაროს მუშები დაობენ ამ 9 საათის სამუშაო დღეს; მისი შემოღება ბევრჯერ მეფესაც აღუთქვამს, მაგრამ დღევანდლამდე ვერა ეშველა რა ამ საქმეს.

ბილბაოს მიდამოები თითქმის მუდმივს გაფიცვასაა ჩვეული. ამ ოცის წლის განმავლობაში 30-ზე მეტი საერთო გაფიცვა მაინც ყოფილა სარკინის გზო ქარხნებში და ოთხი გაფიცვა—ყველა დარგის მუშებისა.

პირველი დიდი გაფიცვა 1890 წ. მოხდა. მიზეზი ის იყო, რომ ალები ნაღდ ფულით კი არა, კვიტანციებით გაუსწორდნენ მუშებს. ამ „კვიტანციებით" იმათ შეეძლოთ ხორაგეულის გამორთმევა მხოლოდ ალების მიერ ნაჩვენებ მედუქნეებთან.

მაშინ ბილბაოს მიდამოებში 21 ათასი მუშა გაიფიცა. ამან საგონებელში ჩააგდო მთავრობა, რომელმაც გენერალ ლომას მეთაურობით ჯარი გაგზავნა ბილბაოში.

გენერალი ლომა სამართლიანობის მიმდევარი გამოდგა, მუშების მხარე დაიჭირა და გამოსცა საგანგებო „ბანდო" (სავალდებულო განკარგულება): ამიერიდან მხოლოდ ნაღდი ფულით გაუსწორდით მუშებსაო; სამუშაო დღე ზამთრობით 9 საათი, ზაფხულობით —11 ს. განისაზღვროსო.

1906 წელს კვლავ იფეთქა მაღაროს მუშების გაფიცვამ: მოითხოვდნენ 10 საათის სამუშაო დღეს ზამთრობითაც და ზაფხულობითაც. გაფიცვა მხოლოდ მაშინ დასრულდა, როდესაც ალფონს მე-18 ესტუმრა გაფიცულებს და მეფური სიტყვა მისცა, მოთხოვნილებას კანონიერის გზით დაგიკმაყოფილებთო.

მას მერე ოთხი წელიწადი გავიდა, და მაღაროს მუშებიც მოლოდინით გაბეზრებულნი, კვლავ გაიფიცნენ— როგორც ვწერდით.

ბილბაოს მაღაროს მუშებს ერთგვარი მეტოქეები ჰყავს: ეს ღარიბი გლეხკაცობაა, რომელსაც სოფლად პატარა ნაგლეჯი მიწა და ქოხი აქვს. ზაფხულობით ამუშავებენ ამ მიწას, ზამთარში კი ქარხნებს ესტუმრებიან და ჩალის ფასად ჰყიდიან თავის ძალღონესა და გარჯილობას.

ამის გამო ბილბაოში გაფიცვა მხოლოდ ზაფხულობითა ხდება ხოლმე, რომ სოფლიდან დროებით ჩამოსულებმა ხელი არ შეუშალონ ქარხნის მუშათა მთლიან ერთპირობას.

ზაფხულის გაფიცვით მოპოვებულ უმჯობეს პირობებს, ზამთარში, გლეხების ჩამოსვლისათანავე ჰკარგავენ მაღაროს მუშები.

ასეთ წვალებაშია მომეტებული ნაწილი მაღაროს მუშებისა; ხელფასი მეტად ნაკლები აქვთ: წერაქვით მომუშავე 1 მან. ან ექვს აბაზს იღებს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ხორაგეული საერთოდ მეტად ძვირია ისპანიაში, რადგან ათას გვარ ბაჟს ახდევინებენ შემოტანილ საქონელზე და სანოვაგეზე, ცოტათი მაინც მიხვდებით რა ძუნწი, უფერული ცხოვრება აქვთ ისპანიის მუშებს.

ეს ხორაგეულზე ბაჟი, წელიწადში კაცის თავზე **შვიდ თუმანს** (196 პეზეტს) უდრის.

ისპანიის მაღაროს მუშებს მხოლოდ თავისი თავის გამოკვება (კარტოფილითა და ლობიოთი) შეუძლიან. თუ ოჯახის პატრონია, იძულებულია მიატოვოს ყველანი და სადმე გადაიკარგოს, რომ თავისის თვალით არ უცქიროს მათს საცოდაობას.

ასეთ პირობების შედეგად უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ ბილბაოს მუშები მომეტებულად სოციალისტები, ან ანარხისტები არიან. ბილბაო დედაბუდეა ისპანიის სოციალიზმისა, ხოლო ბარცელონა—ანარქიზმისა.

თუმცა, სწორედ რომ ითქვას, ეს ორი მიმდინარეობა აქ ისე თვალსაჩინოდ არ განირჩევა ერთი მეორისაგან, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია. ეს ორი ტოტია ინტერნაციონალისა, „მარქსისტების" და „ბაკუნისტების", ისპანიელ „ბაკუნისტების" პროგრამმა და ტაკტიკა იგივე საფრანგეთის სინდიკალიზმს ემსგავსება: მათ ბრძოლის იარაღად მხოლოდ გაფიცვა სწამთ, მეტად ერიდებიან იმ „ანარქისტებს" რომელთა რწმენა ყუმბარებზეა დამყარებული.

თუმცა მეტად ღარიბია ისპანიის მუშა, მაგრამ შეგნებულად ეწევა ბრძოლის უღელს. ყველა მათგანი ორგანიზაციებშია ჩაწერილი და ყველას პირნათლად შეაქვს საერთო კასაში საწევრო გარდასახადი.

ისპანიის მუშა ხალხი მეტად მცირედ ეტანება მაგარ სასმელებს. მას უფრო გონებრივი გართობა ასაზრდოებს: იგი მუდამ გართულია მუზიკალურ წრეებში, კოოპერაციებში და პოლიტიკურ ორგანიზაციებში.

ამ ჟამად მთელს ისპანიაში ასეთი ორგანიზაცია 2,000-ზე მეტია. ეს ორგანიზაციები ინტელიგენციის დაუხმარებლად, თვით მუშების მეთაურობითაა შექმნილი. ამ საზოგადოებათა საერთო რიცხვი 250 ათას აღემატება.

მთელი სამრეწველო პროლეტარიატი (260 ათასი კაცი) შედის ამ ორგანიზაციებში.

ისპანიის ყველა დიდ სამრეწველო ქალაქებში არსებობს ურთიერთ დამხმარებელი კასა და კოოპერატიული ამხანაგობა.

ერთი უდიდესი კოოპერატივი ბილბაოშია, რომელსაც ჰყავს 700 წევრი; მისი ყოველ წლიური აღებ-მიცემობა 320 ათას მანათს უდრის.

ბარცელონაში აქვთ სტამბა „Neotipia" („ნეოტიპია") და აგურხანა „La Redendora" („ლა რედენდორა").

მადრიდში აქვთ „შრომის სახლი". (Casa del Trabajo), რომელიც ჰერცოგ ბეხარასეულ სასახლეშია მოთავსებული. ეს სასახლე მუშებმა 500 ათას პეზეტად შეიძინეს (185 ათასი მან.); კალატოზების კავშირმა შესწირა ამისათვის 200 ათასი პეზეტი.

დარბაზის კედლები ჩუქურთმებით, ფსეკებით, სურათებით, მოვარაყებულ ჭერით და სხვა მორთულობით არის შემკული. ლექციების საკითხავი დარბაზი 3,000 მსმენელს იტევს. აქვევე აქვთ ყავახანა, საბილიარდო, გიმნასტიკური დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, სადაც სულ მუხის შკაფები და მაგიდებია.

აქ აღსანიშნავი ისიც არის, რომ ეს „შრომის სახლი" ქველ-მოქმედთა შეწირულობით კი არა, თვით მუშათა ნაოფლარის გროშებით არის მოწყობილი.

ასეთი შეგნებული და გაერთიანებული ძალა ისპანიის მშრომელის ხალხისა თავდებია იმისი, რომ ახლო მომავალში დასთრგუნავენ დღეს გაბატონებულ კლერიკალიზმს და მოიპოვებენ შრომის დამცველსა და უზრუნველ-მყოფელ ცხოვრების პირობებს. („რ. ს.")

# მოწერილი ამბები

**ს. გურჯაანი.** ს. გურჯაანი ადრა ხუმრობს! ამ წელს აქ დაარსებულ ფოსტა-ტელეგრაფსა და სადგომეურნეობის გახსნას ზედ მოჰყვა ზრუნვა ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ. ამ მიზნით გამართულმა სადამო სოფელს 30 თუმნამდე მისცა და აი, ამ ფულით ქართული სამკითხველოსათვის შენობის აგება. ადგილობრივის მამასახლისის და რამდენიმე შეგნებულ გლეხთა თაოსნობით შესდგა სააღმაშენებლო კომისია, რომელიც უკვე შეუდგა ბიბლიოთეკისთვის სოფლის სამმართველოს გვერდზე, კარგა მოზდილი შენობის აგებას. ამავე შენობაში გაიმართება ხოლმე სახალხო კითხვები და წარმოდგენები.

ჩვენი სოფელი ამითაც აღარ კმაყოფილდება და ფიქრობს საფუძვლიან ნიადაგზე დააყენოს სოფლის სწავლა განათლების საქმე, ეს აზრი გამოითქვა იმ თხოვნებში, რომელიც გურჯაანელებმა მიართვეს აქეთ გზად გამოვლილ მინისტრს შჩეგლოვიტოვსა და გუბერნატორს; უკანასკნელისადმი მიმართულ არზაში სხვათა შორის ნათქვამია: გურჯაანელები განთავისუფლებულ იქნენ გზატკეცილზე მუშაობისაგან, დაარსდეს ს. გურჯაანში ამერიკულ ვაზის სანერგე, და ამ სანერგიდან მუქთად თუ არა, ძალიან ნაკლებ ფასებში მაინც დაურიგდეთ ხოლმე ვაზის ნერგი და რაც უფრო უმთავრესია, სთხოვენ ს. გურჯაანში შეძლებისდა დაარსდეს სამეურნეო სასწავლებელი. იმ შემთხვევაში კი, თუ რაიმე მიზეზით მთავრობამ ვერ მოახერხა საკუთარ სამეურნეო სასწავლებლის დაარსება ს. გურჯაანში, თხოულობენ ყვარელში არსებული სამეურნეო სასწავლებელი გურჯაანში იქმნეს გადმოტანილი, ვინაიდან გურჯაანი შუაგულია სიღნაღის მაზრისა. ამის გარდა გურჯაანელები თხოულობენ დაარსებულ იქმნას 4 კლასიანი პროგიმნაზიის ტიპის სასწავლებელი ქალთათვის! არ ვიცით შესრულდება თუ არა გურჯაანელების თხოვნა, ვინაიდან ბევრ ამ გვარ თხოვნას დაულევია ნაცრული წყალი, მაგრამ აქ აღნიშნული ფაქტი სხვა მხრივ არის საინტერესო, სახელდობრ იმითი, რომ დღევანდლამდე, თუ არა ვცდებით, პროვინციის არც ერთ ქალაქსაც კი არ უთხოვნია ასეთი სკოლების დაარსება. მათი სატრფიალო პროგიმნაზია და გიმნაზია და გურჯაანი კი თავის თხოვნით, პირველი გამოსთქვამს აზრს ისეთი სკოლის საჭიროებისას, რომელიც ნამდვილად შეეფერება ქართველი ხალხის ცხოვრების პირობებს.

მინისტრისადმი მიმართულ თხოვნაში გურჯაანელები სთხოვენ, გადმოტანილ იქმნეს ს. ქიზიყიდან მომრიგებელ სასამართლოს განყოფილება. ამის შესახებ უკვე დიდი ხანია აძრულა საკითხი და ადგილობრივი მოხელეებიც თანახმანი არიან, რადგანაც ცენტრად იმ რაიონისა, რომელსაც ემსახურება სასამართლო, უნდა ჩაითვალოს გურჯაანი. თუ უკვე ამას მივუმატებთ გურჯაანელების განზრახვას—ახლო მომავალში ქ. მ. წ. კ. განყოფილებისა და წვრილ საკრედიტო ბანკის დაარსებას რის შესახებაც უკვე შუამდგომლობა აძრული, აგრეთვე ახალის მნიშვნელობას, რომელიც ადრე თუ გვიან კურორტად გადაიქცევა და მომავალ რკინის გზას, რომლის სადგურიც მხოლოდ 3 ვერსზე იქნება დაშორებული სოფლიდან, შეგვიძლიან ვთქვათ რომ ს. გურჯაანი სიღნაღის მაზრის ერთ თვალ-საჩინო და ყოველ მხრივ მოწყობილ ცენტრად გადაიქცევა.

არ შემიძლიან არ აღვნიშნო ერთი სასიამოვნო მოვლენაც.

2 სექტემბერს, როდესაც კახეთში რკინის გზის გამყვანმა კომისიამ წინადადება მისცა გურჯაანელებს, სადგურის ადგილების სათავსურში ზოგები აღდგა, შთელმა ერილობამ ერთის კვეთით თანხმობა გამოაცხადა. ალბად გურჯაანელებს ძალიან კარგად ესმით დირსება და მნიშვნელობა მომავალ რკინის გზისა! **მროველი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქ. ფოთი.** ფოთის თვით მართველობის დარბაზში, შაბათს 4 სექტემბერს, პეტერბურგის პსიხო ნევროლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტმა ლადო გეგეჭკორმა წაიკითხა ლექცია: „პოეზია ნ. ბარათაშვილისა". ლექცია შინაარსიანი იყო, ლექტორი მრავალ მხრივ შეეხო ბარათაშვილის პოეზიას. ზოგი მოტივი ბარათაშვილის პოეზიისა შეუდარა აკაკისას, სხვათა შორის, შეადარა ბარათაშვილის პესსიმიზმი შოპენჰაურის პესსიმიზმს და აღნიშნა მოკლედ, რომ თუმცა ბარათაშვილი შოპენ ჰაურსავით უკიდურესი პესსიმისტია, მაგრამ მათში განსხვავებაც დიდიაო.

შოპენ ჰაური ქადაგებს: „არყოფნა უმჯობესია ყოფნაზეო", ბარათაშვილი კი პირ იქით, გამოთქვამს რა თავის პესსიმიზმს, იქავე დასძენს: „არსებობა ამ ქვეყნად მაინც საჭიროა, რათა ვებრძოლოთ დამაბრკოლებელ მიზეზებს საბედნიერო მომავლისკენ მიმართულ გზაზეო.

ლექციაზე ხალხი გვიან შეიკრიბა, ნაკლებადაც დაესწრო, ამის გამო ლექტორი ლექციას უგულოდ და ჩქარა კითხულობდა.

აქ ჩამოვიდნენ ქართული დასის არტისტები ალ. წუწუნავას რეჟისორობით და ამ თვეს ითამაშებენ კ. ფოცხვერაშვილის სამ მოქმედებიან პიესას: „აშენდა საქართველო". **ფოთელი.**

# უცხოეთი

**ცეპელინის სამგზავრო დირიჟაბლის დაღუპვა.**

სამგზავრო დირიჟაბლი გრაფ ცეპელინისა სულ მთლად დაიწვა.

ამ უბედურობას ასე აგვიწერენ:

ბადენ-ბადენიდან 12 მგზავრით დირიჟაბლი უნდა ნეიბურგში გადაფრენილიყო, მაგრამ მატორის დაზიანების გამო იგი დაბლა მძიმედ დაეშვა და მგზავრები გადმოსხა.

როცა დირიჟაბლის დაზიანებულ ადგილების შეკეთებას შეუდგნენ ერთი ნაპერწკალი ბენზინის სავსე კასრში ჩავარდა. ბენზინი აფეთქდა და დირიჟაბლიც ცეცხლმა მოიცვა.

ბევრს ეცადნენ ჩაქრობას, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ უშველებელი დირიჟაბლი ფერფლად გარდაიქცა. ანგარიც ნახევრად დაიწვა. 6 ჯარისკაცი დაშავდა და საავადმყოფოში გაგზავნეს.

ეს უბედურობა ტელეგრამით მეფე ვილგელმს და გრაფ ცეპელინს აცნობეს.

ზარალი ერთი მილიონი მარკაა.

ბერლინში ამ ამბავმა ყველა დაალონა. სახელდახელოდ გამოცემული გაზეთები ამ ამბის შესახებ აუარებელმა ხალხმა დაიტაცა. რედაქციებში ხალხისაგან ტევა აღარ არის, ყველას უნდოდა გაეგო დაწვრილებითი ამბავი ამ უბედურების შესახებ.

გაზეთები აპირობენ მოწოდებით მიჰმართონ ხალხს რომ, ან მარცხის ცული არ გატეხონ და სხვა მსგავსისა და უფრო უკეთესის დირიჟაბლის გასაკეთებლად თავისი წვლილი არ დაიშურონ.

**გერმანია სიკვდილით დასჯის შესახებ.**

დანცინგში მოხდა გერმანელ იურისტების კონგრესი. ამ კონგრესზე, სხვათა შორის, საკითხი აღძრეს სიკვდილით დასჯის შესახებ და მისი მოსპობა მოითხოვეს. იურისტთა კონგრესმა უარჰყო ეს წინადადება და სიკვდილით დასჯა ისევ ძალაში დარჩა.

**რუზველტის აზრი მუშათა კავშირებზე.**

კუუმბერგში მომხდარ გაფიცვის დროს რუზველტმა, ამერიკის პრეზიდენტად ნამყოფმა სხვათა შორის სთქვა:

ხალხის მუშაობიდან დათხოვნა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ამა თუ იმ კავშირს ეკუთვნიან, ან და იმიტომ, რომ ხელფასის მომატებას თხოულობენ ხოლმე ისეთ სისაძაგლედ მიმაჩნია, რომ ამაზე სიტყვის თქმაც კი მეტიაო ჩვენს დროში. მუშათა კავშირების საჭიროებას ყველანი ვგრძნობთ და მათ აბუჩად აგდება ხეირს არ მოგვცემს"..

# რუსეთი

**მონასტრების რაოდენობა რუსეთში და ხარჯი.**

უწმ. სინოდის ცნობით, ამ ჟამად რუსეთში ყოფილა 812 მონასტერი. აქედან 421 მამაკაცთათვის და 391 ქალთათვის. საზოგადო რიცხვი ბერ-მონოზნებისა უდრის 68,770, აქედან ბერებია—16,438, ხოლო მონოზნები 52,338. სინოდი ახალ საშუალებებს ხმარობს ბერ-მონოზნათა ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ეკლესია და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ! ამისთვის 31 მარიამობისთვეს სახ. სათათბიროში შეუტანია მთელი რიგი კანონ-პროექტებისა, რომ საპენსიო კასის დასაწესებლად გადაიდოს 600,000 მან. სასულიერო წოდებისთვის; 500,000 საეკლესიო სკოლების გასამრავლებლად; 500,000 მან., ეკლესიების ასაგებად და 1,000,000 მანეთამდე უმაღლეს სასულიერო სასწავლებლების შესანახად.

**ქურდ-მონოზანი.**

პოლოცკის სპასო-ეფროსინის მონასტერში და პოლოცკისა და ვიტებსკის ეპისკოპოსმა აღმოაჩინა მონასტერში 4,000 მან. გაუფლანგავთ. ფული გაუტაცნია მონასტრის დედა-იღუმენიას, რომელიც პეტერბურგს გაქცეულა...

**პოლიციელი ძაღლები.**

წმ. სერგის სამების ლავრაში ეხლახანს მოჰკლეს მღვდელ-მონოზანი ანტოლი. მკვლელების კვალი დაიკარგა. მაგრამ აი, მკვლელობის ადგილს მოჰყავთ პოლიციელი ძაღლი „ტრეფი". ძაღლმა ჯერ გვამს დაჰსუნა, შემდეგ გაღებულ ფანჯრიდან გადახტა და ძირს დაეშვა, სადაც მალე აღმოაჩინა სისხლის წვეთები. აქედან ძაღლი ალაყაფის კარებში გაიჭრა, შემდეგ აკადემიის ბაღში, ბოლოს ისევ კიბეს დაუბრუნდა და საყდრის დარაჯის ოთახებში შეიჭრა. აქ რავდენსამე წუთსს შესდგა და ჰაერს იყნოსავდა. უეცრივ დაიყეფა და ტახტის ქვეშ შეჰყო თავი, საიდანაც გამოათრია მკვლელი, რომელსაც წაღებზე ჯერ კიდევ სისხლი არ შეჰშრობოდა.

**ქალი ჯალათი.**

კიევის გაზეთში „ОГНИ"-ში მოთავსებულია მოზრდილი წერილი ერთი ქალისა, რომელიც გადმოგვცემს საზარელს ამბებს და უწესოებას ლუკიანოვის სატუსაღოში. „ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინად ხშირად გვესმოდა, რომ სატუსაღოში ხან ვისა სცემენ და ხან ვისაო. დერეფნებში ხომ თითქმის ყოველ დღე გვესმოდა ცემა-ტყეპისა და ლანძღვა-გინების ხმა. ყველა ეს უმზგავსოება დამყარდა მას შემდეგ, რაც აქ უფროსად დაინიშნა ქალი-ჯალათი, რომელსაც თითოეული ტუსაღი თავის პირად მტერად მიაჩნდა და რაღაც მხეცური სიამოვნებით სტკბება, როდესაც ვისმეს ვითომდა „შურის საძიებლად" აწკეპლინეს. ეს ლოთი დედაკაცი, რომელიც ოდესღაც მოახლედ ყოფილა, დღეს აღჭურვილია თითქმის შეუზღუდველი უფლებებით!".. ჩვენ არა ერთი და ორი საზარელი სურათი გვინახავს, არა ერთხელ და ორჯელ შევძრწუნვებულვართ ამ ჯალათ-ქალის საქციელით და ბოლოს, როგორც იყო ჩვენ მოვახერხეთ სატუსაღოთა უფროს გამგებელისათვის შეგვეტყობინებინა ჩვენი გაჭირვება. უფროსი დაგვეთანხმა, რომ ცემასა და გინებას სატუსაღოში ადგილი არ უნდა ჰქონდესო. ამის და მიუხედავად ცემა-ტყეპა სატუსაღოში არ შეწყვეტილა. [illegible] სალებს არა ერთხელ [illegible] ტესტი ცემის წინააღმდეგ, მაგრამ გამგონე ვინ იყო? გაბრაზებული ჯალათი-ქალი ახლა ჩვენზე ყრილობდა ჯავრს და „კარცერში" გვამწყდევდა, როგორ თუ სხვის საქმეში ერევითო. მან ლოთისოვი მოიყვან ჩემს ამხანაგს კრუპენსკის, წიულმა ალქაჯმა ჩივლა თავის უფროსთან, რომ ის (კრუპენსკი) ჩემს საქმეში ერევაო.

— როგორა გნებავთ, რომ დავსაჯო?— ეკითხება უფროსი.

— კარცერით, თქვენო აღმატებულებავ!—უპასუხა მან და კრუპენსკი 14 დღით კორცერში ჩასვეს"...—

გაზეთი კიდევ ბევრს საშინელებას გადმოგვცემს, როზგის ხმარების შესახებ. მთავრობამ „Огни"—1,200 მანეთით დააჯარიმა, ამ წერილის გამოისად კი არა, არამედ იმიტომ, რომ წერილი მეთაურად მოუთავსებიათ.

**ვოსტორგოვის თინბაზობა.**

„Раннее Утро"-ს კორესპონდენტს უსაუბრნია ვოსტორგოვთან, რასაკვირველია, ისევ მის სამგირო საქმეთა შესახებ. ვოსტორგოვის სიტყვებიდან ისე სჩანს, რომ ყველა ეს ხმები მხოლოდ მოთქმაა, მას ნაკლებად აინტერესებს და თავის მოწინააღმდეგეთა ბრალდებებს სთვლის „პოლიტიკურ ბრძოლის საშუალებად".—ასეთ შემთხვევაშიო"-ო, უთქვამს ვოსტორგოვს, —ყოველთვის ჰუჭყიან თეთრეულის გადარეცხვას მოჰყვებიან ხოლმე. თუნდაც ყველა ეს ხმები მოზარდ ქალების პატივაყრისა და გახრწნის შესახებ მართალი იყოს, ეს სრულებითაც არ ეხება მონარქიულ ორგანიზაციებში მომუშავე დეკანოზ ვოსტორგოვს, როგორც მღვდელსა და მისიონერს. ეს შეეხება ი. ი. ვოსტორგოვს, ვოსტორგოვს—როგორც კერძო კაცს. და ყველა ამას განა რა საერთო აქვს ჩემს პოლიტიკურ პარტიასთან და ჩემს საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან?

— რატომ ბრალმდებლებს ცილის წამებაზე არ უპასუხებთ, ან სასამართლოში რად არ იწვევთ?

— მე რომ მათ უპასუხო,—უთქვამს არხეინად ვოსტორგოვს,—მაშინ მომიხდებოდა რამდენიმე საკორესპონდენციო ბიუროს გახსნა და აღარ შემეძლებოდა ჩემი დანიშნულება სისრულეში მომეყვანაო!"


# განცხადებანი

**მამა კაცების საყურადღებოდ**

კოხტად და მოხდენით ჩაცმა ტანისამოსისა შეუძლიან ყველა იმას, ვინც ჩვენგან გამოიწერს შემოდგომის, ან ზამთრის კოსტიუმს. პიჯაკი, შალვარი და ჟილეტი კარგად შეკერილი, ატლასის სარჩულით, ერთის ან ორის კალთით მკვიდრის და ლამაზის მატყლის შივიოტ-ტრიკოხი, ახალ მოდისა ყოველგვარ მუქი ფერისა მთელი კოსტიუმი ღირს 7 მ. და 75 კაპ. უკეთესი ხარისხისა 9 მანეთი; ჩასაწყობ ყუთისა და გაგზავნის ფასი 75 კაპ. ციმბირში 1 მ. და 15 კაპ. ზომა უნდა გამოგვიგზავნოთ შემდეგ ნაირად: სიგრძე პიჯაკისა და სახელოებისა სიგანე მკერდისა და მხრებისა, სიგრძე შალვრისა და ნაბიჯისა. ცალკე შალვარი გაგზავნით ღირს 2 მ. 85 კაპ. თუ არ მოგეწონათ უკან დავიბრუნებთ.

ადრესი: А. КИВМАНУ, Лодзь N 18. Мотцъ и К-о. (2—19—2)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**კომერციულ ცოდნათა კურსები ტ. მ. ფილოიანისა,**

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4).

**სპეციალური კომერციული განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.**

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებლებში (ლონდონში) და პიგიერის მუსტერ-ლომტოირში (პარიზში). მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ. 1. ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა (ხელის გასწორება). ბ) არა სავალდებულო: 1. **უცხო ენები.** 2. ტენოგრაფია. 3. დაკტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე ინდივიდუალურად.

**კურსების ლექტორები არიან სპეციალისტები უმაღლეს განათლებით.**

თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. სწავლა იწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან,

კურსების დირექტორი **ტ. ფილოიანი.**

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები ნ. ვ. აბრამიანისა.**

ავტორი „ვაჭრობ. ფაბრ. და ნავთის წარ. ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი", რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებ., როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,

**ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ**

უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხი თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუხჰალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს.

გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს (სავალდებულო არაა).

**კურსების მასწავლებლად უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.**

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს 1910 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნასადილევს თხოვნები მიიღება ყოველ დღე საღამოს 3—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით

ამას გარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის.

წესდება და პროგრამები ეგზავნება მსურველს უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22, ტელეფონი 7і4.

ზემოდ-დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—ღ—14)


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სონღულაშვილი.